პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 280 (16101)

30 ნოემბერი შაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

ზეიმი ტაჯიკეთის მიწაზე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რევოლუციურ მოძრაობაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის და მსოფლიოს პირველი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში ტაჯიკეთის სსრ მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის, ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და კომუნისტურ მშენებლობაში წარმატებებისათვის ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1974 წლის 29 ნოემბერი.

სამინისტროს პარტიული კომიტეტი

მართვის სრულყოფა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის ჩვენი პარტიის საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სკკპ XXIV ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეკონომიკაში მასშტაბთა ზრდა და თვისებრივი ძვრები ახალ, უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს მართვას. სამეურნეო მექანიზმის შეუფერხებელი, შეწყობილი მუშაობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება სამინისტროებს, რომლებსაც სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ დარგების განვითარებისათვის.

პარტია ლენინადაგ უთმობს ყურადღებას ხელმძღვანელობის ამ საკვანძო რგოლებს; აქ მოქმედ პარტიულ ორგანიზაციებს. როგორც ცნობილია, სკკპ XXIV ყრილობამ მათ მიანიჭა აპარატის მუშაობისადმი კონტროლის უფლება, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა სამმართველო საქმიანობის სტილის გაუმჯობესებაზე, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაზე კომუნისტთა გავლენის შესაძლებლობა. მართვის გაუმჯობესებისათვის პარტიული ზრუნვის ახალი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს პარტკომი კონტროლს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის აპარატის მუშაობისადმი.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამინისტროს პარტიული კომიტეტი გარკვეულ მუშაობას ეწევა აპარატის თანამშრომელთა დასარაზმავად, ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის მათი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. ისმენენ კომუნისტთა ანგარიშებსა და ინფორმაციებს სამსახურეობრივ მოვალეობათა, პარტიულ დავალებათა შესრულების შესახებ. სამინისტროს თანამშრომელთა საქმიანობის საკითხების მოსამზადებლად იზიდავენ ფართო აქტივს. დიდი ყურადღება ეთმობა ეკონომიკის, წარმოების მეცნიერული მართვის აქტუალური პრობლემების შესწავლას. ყოველივე ეს დადებითად გავლენას ახდენს სამინისტროს ამოცანების შესრულებაში აპარატის მაორგანიზებელი როლის გაძლიერებაზე.

ამასთანავე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პარტკომი არ იყენებს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი პარტიული კონტროლის ყველა მრავალფეროვან ფორმასა და მეთოდს, ხშირად რჩება მხედველობიდან დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაზეა დამოკიდებული მუშაობის სიზუსტე და ოპერატიულობა. ცხოვრება მოითხოვს, რომ კონტროლს სამინისტროებში უფრო კონკრეტული და სისტემატური ხასიათი ჰქონდეს, იყოს მასობრივი, ქმედითი, მჭიდროდ ერწყმოდეს შესრულების ორგანიზაციასა და ადამიანთა აღზრდას. ეს მართვის სფეროში პარტიული სტილის, პარტიული მიდგომის დამკვიდრების გარანტიაა, რაც პარტიამ განსაზღვრა როგორც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ამოცანა თანამედროვე ეტაპზე.

კავშირგაბმულობის სამინისტროს პარტკომის საქმიანობის რა ხარვეზები მოქმედებს უარყოფითად აპარატის მუშაობაზე? უწინარეს ყოვლისა, არ არის მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისადმი კონტროლის საჭირო სისტემა. ამის შედეგად, მაგალითად, ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი იშვიათად მიდის ადგილებზე, ყოველთვის როდი უწევს ჯეროვან დახმარებას რესპუბლიკურ სამინისტროებს, კავშირგაბმულობის საოლქო საწარმოო-ტექნიკურ სამმართველოებს. მიღებულ გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მათი განხორციელებისადმი კონტროლის გაუმჯობესება პარტორგანიზაციების უპირველესი საზრუნავია, კერძოდ მართვის სფეროში.

სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა დიდად არის დამოკიდებული სამინისტროთა აპარატის თანამშრომლების შემოქმედებით ინიციატივაზე, გერგილიანობაზე, მათს შეგნებულ დისციპლინასა და ურთიერთმომთხოვნელობაზე. პარტორგანიზაციებს დიდი შესაძლებლობა აქვთ, რომ ეს თვისებები ჩაუნერგონ და განუვითარონ ადამიანებს. მაგრამ ამ შესაძლებლობებს ყველგან საკმაოდ სრულად იყენებენ? სრულაც არა. იმავე კავშირგაბმულობის სამინისტროში პარტკომის სხდომებსა და პარტიულ კრებებზე ყურადღება ძირითადად ეთმობა მიღწეულ წარმატებებს, კრიტიკა ხშირად არ არის კონკრეტული და მიმართულია მხოლოდ საუწყებო ორგანიზაციებისადმი. ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი ურიგდება ნაკლოვანებებს. ამავე დროს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე ვერ სრულდება, იქსაჯება შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები. სამინისტროს აპარატი სუსტ გავლენას ახდენს იმაზე, რომ გაუმჯობესდეს კავშირგაბმულობის საშუალებებით ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა მომსახურების ხარისხი. არის შემთხვევები, როცა დროზე არ მიაქვთ დეპეშები, წერილები, გაზეთები, ჟურნალები და ფულადი გზავნილები.

ყოველივე ეს, რაც ხდება საუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებში, როგორც წესი, მჭიდროდ არის დაკავშირებული სამინისტროთა მუშაკების საქმიანობასთან. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა ამაღლდეს მათი პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. შეურიგებელი უნდა ვიყოთ ვიწროუწყებრივი მიდგომის, ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის ფაქტებისადმი. გაცილებით დიდი უნდა იყოს აქ სამმართველოთა და განყოფილებათა პარტორგანიზაციების როლი, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან მუშაკებთან, უკეთ ხედავენ მათს ძლიერ და სუსტ მხარეებს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ავამაღლოთ პარტიული კრებების დონე, განვავითაროთ კრებებზე საქმიანი კრიტიკა და თვითკრიტიკა. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ყველა შესაძლებლობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს პარტკომს დასახოს ღონისძიებები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და აპარატის მუშაობისადმი პარტიული კონტროლის ყოველნაირად გაძლიერებისათვის. სერიოზული მოთხოვნებია წაყენებული სამინისტროს კოლეგიის, პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიმართ. ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს რეკომენდაცია მიეცათ განიხილონ კავშირგაბმულობის ორგანოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის საკითხები.

მიღებულ დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირგაბმულობის სამინისტროს, მისი კომუნისტების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამავე დროს ყველა სამინისტროს და სხვა დაწესებულებების პარტორგანიზაციათა ყურადღება უნდა მიიპყროს ნაკლოვანებებმა, რომლებიც აღნიშნულია დადგენილებაში, დასკვნებმა, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა. ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ზღურბლზე, კომუნისტური მშენებლობის ახალი გრანდიოზული ამოცანების გადასაწყვეტად გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ მართვის ყველა რგოლის საქმიანობა დროის მოთხოვნათა შესაბამისად. ეს კი გვიკარნახებს ყოველ უბანზე გავაძლიეროთ პარტიული კონტროლი აპარატის მუშაობისადმი, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად.

«ПРАВДА»
28 ნოემბრის მოწინავე

ვადამდე!

მოსკოვი. რუსეთის ფედერაციის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე, 28 ნოემბერს, შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1974 წლის თერთმეტი თვის გეგმა. (საკდესი).

ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ ტაჯიკეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს და მათს მებრძოლ ავანგარდს — კომუნისტებს ღირსშესანიშნავ თარიღს — ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ტაჯიკი ხალხი გაათავისუფლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან. ტაჯიკეთმა მოიპოვა სოციალისტური სახელმწიფოებრიობა, რუსი და სსრ კავშირის სხვა ხალხების ძმური დახმარებით რესპუბლიკის მშრომელებმა განახორციელეს ძირეული სოციალურ-ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნები. თავისი არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე საბჭოთა ტაჯიკეთი მეფის რუსეთის ჩამორჩენილი კოლონიური განაპირა მხარიდან გადაიქცა მაღალგანვითარებულ სოციალისტურ რესპუბლიკად.

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში შექმნილია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ინდუსტრია, მძლავრი ენერგეტიკული ბაზა, მომზადებულია კვალიფიციური კადრები სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის. საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობა 500-ჯერ და მეტად გაიზარდა. მიღწეულია მანქანათმშენებლობის, სამთამადნო, ქიმიური, მსუბუქი მრეწველობის მაღალი დონე. სწრაფი ტემპებით ვითარდება მრავალდარგოვანი მაღალინტენსიური სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით მებამბეობა. ამოქმედდა მთელი რიგი დიდი საირიგაციო ნაგებობანი. განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, იცვლება მათი ყოფაცხოვრება.

უმაგალითოდ აყვავდა საბჭოთა ტაჯიკეთის კულტურა, მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება, ფართოდ განვითარდა სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა. სოციალიზმის დიადი მონაპოვარი გახდა ტაჯიკი ქალის განთავისუფლება უუფლებობისა და ჩაგვრისაგან. დღეს იგი აქტიურად მონაწილეობს ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში.

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესანიშნავი წარმატებანი, რომლებიც დამაჯერებლად მოწმობენ სოციალისტური წყობილების დიად ცხოველმყოფელ ძალას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამშენებლობით საქმიანობას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა მშრომელის დაძაბული შრომის შედეგია.

საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში ტაჯიკეთის შვილები, რომლებიც აღზრდილი არიან კომუნიზმის საქმისადმი უანგარო ერთგულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე გვიჩვენებენ თავდადებული შრომის მაგალითს, ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებაში. დიდი სამამულო ომის წლებში ისინი ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად გმირულად იბრძოდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, ფრონტზე და ზურგში ცხადყვეს სამშობლოს უსაზღვრო ერთგულება.

ნახევარი საუკუნის ისტორიულ ეტაპზე მასების ნაცადი ორგანიზატორია ტაჯიკეთის კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმი. იგი მშრომელთა შემოქმედებით ენერგიას აქტიურად წარმართავს პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, ახალი საზოგადოების მშენებლობის დიდებული გეგმების შესრულებისათვის.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად საბჭოთა ტაჯიკეთის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის დავალებებისა და მისი მეოთხე, განმსაზღვრელი წლის სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის. დადგნენ რა რესპუბლიკის 50 წლისთავის ღირსშესანიშნავ შრომით საიუბილეო ვახტზე, ისინი მტკიცედ იბრძვიან შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას მაღალ ჯილდოს — ოქტომბრის რევოლუციის ორდენს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელები ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ძმური თანამეგობრობით ახალ შესანიშნავ წარმატებებს მოიპოვებენ კომუნისტურ მშენებლობაში.

გაუმარჯოს ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ტაჯიკეთის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხის მეგობრობისა და ძმობის ბურჯს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ხალხთა მეგობრობა გამარჯვებათა წყაროა

ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა

სიხარულითა და ზეიმით აღნიშნავენ ტაჯიკეთის მშრომელები, ყველა საბჭოთა ადამიანი ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს. 29 ნოემბერს პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში გაიმართა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა.

საზეიმო სხდომის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს შ. რ. რაშიდოვს, რესპუბლიკის ხელმძღვანელებს — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯ. რასულოვს, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. ხოლოვს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს რ. ნაბიევს. პრეზიდიუმში აგრეთვე არიან ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა ხელმძღვანელები, წარჩინებული წარმოების მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. ჯ. რასულოვმა. ტაჯიკეთის კომუნისტთა, ყველა მშრომელის სახელით მან მხურვალე მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ლენინადაგ რომ ზრუნავენ სოციალისტური ერთა აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

ჟღერს სსრ კავშირისა და ტაჯიკეთის სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილენი უდიდესი აღფრთოვანებით ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

გაისმის საზეიმო მარში და დარბაზში შემოაქვთ ორგზის ორდენოსანი ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის დროშა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ვ. პოდგორნიმ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

სურათზე: ნ. ვ. პოდგორნი ორდენს ამაგრებს ტაჯიკეთის რესპუბლიკის დროშაზე. საკდესის ფოტო.

საბჭოთა ტაჯიკეთის ორმოცდაათი წელი

ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

დღეს ჩვენი ქვეყანა საზეიმოდ აღნიშნავს ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს. ამ დარბაზში არიან მოკავშირე რესპუბლიკების, გმირი ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციები. ათასობით საბჭოთა ადამიანმა, მშრომელთა ბევრმა კოლექტივმა გამოგზავნა მისალმებანი და მოლოცვები სახელოვანი იუბილეს გამო.

მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი ზეიმი მთელი 250-მილიონიანი საბჭოთა ხალხის, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების საერთო დღესასწაულია. ეს არის ერთიან მრავალეროვან სახელმწიფოში ხალხთა ნახევარსაუკუნოვანი თანამშრომლობის, მათი ცხოველმყოფელი მეგობრობის — ქვეყნის განვითარების ამ მძლავრი ფაქტორის კიდევ ერთი დათვალიერება.

დიდ კმაყოფილებას მგვრის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სახელით მხურვალედ და გულითადად მივულოცო ტაჯიკეთის მშრომელებს შესანიშნავი იუბილე, ვუსურვო ყოველივე საუკეთესო. ნება მიბოძეთ გადმოგცეთ მისალმების ტექსტი.

მოხარული ვარ გაცნობოთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ ტაჯიკეთის სსრ მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის თქვენი რესპუბლიკა დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. ახალი მაღალი ჯილდო ლენინის ორდენთან და ხალხთა მეგობრობის ორდენთან ერთად დაამშვენებს რესპუბლიკის დროშას. და ეჭვი არ არის, რომ ეს ორდენი შთაგაგონებთ თავდადებულ შრომას იმ მაღალი მიზნებისა და იდეალებისათვის, რომლებიც პარტიამ გამოაცხადა ოქტომბრის ლეგენდარულ დღეებში, შთაგაგონებთ ახალ გამარჯვებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

ორდენით, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის სახელს ატარებს, დაჯილდოებული არიან ტაჯიკეთიც და სხვა რესპუბლიკებიც, რომლებმაც თავიანთი შექმნის ღირსსახსოვარი წლისთავი აღნიშნეს. სულ ცოტა ხნის წინათ, როგორც გახსოვთ, სსრ კავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით ყველა ჩვენს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკას მიენიჭა ხალხთა მეგობრობის ორდენები. არის ორგანული, განუყრელი კავშირი იმას შორის, რასაც ეს ორდენები განასახიერებენ, სწორედ დიდი ოქტომბერი გადაიქცა შემადუღაბებელ საფუძვლად ხალხთა პრინციპულად ახალი ურთიერთობის დამყარებისათვის. თავის მხრივ ჩვენი ხალხების ძმური ერთიანობა, როგორც ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგი, გახდა სოციალისტური პროგრესის მძლავრი დამჩქარებელი, სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა.

ამიერიდან ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასი სიმბოლოები სამუდამოდ შეერწყნენ ერთმანეთს ტაჯიკეთის დროშაზე, ისევე როგორც სამუდამოდ შეერწყნენ ერთმანეთს საბჭოთა ადამიანების შეგნებაში ლენინი, ოქტომბრის რევოლუცია, ხალხთა მეგობრობა!

ცვლილებათა სიმრავლითა და სიღრმით განვლილ ნახევარ საუკუნეს ბადალი არ მოეპოვება ისტორიაში. წარუშლელი კვალი დატოვეს მათ უძველესი ტაჯიკეთის მიწაზე, უმაგალითოდ გარდაქმნეს აქაური მცხოვრებნი.

ნახევარი საუკუნის იუბილეს მწვერვალიდან განსაკუთრებით მძიმე გვეჩვენება დაბეჩავებისა და ეროვნული დამცირების ის მდგომარეობა, რომელშიც წინათ ცხოვრობდა ტაჯიკი ხალხი. ეს ხალხი, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი მოაზროვნენი, მეცნიერები, პოეტები, XX საუკუნის დამდეგისათვის გათიშული აღმოჩნდა, ცხოვრობდა ფეოდალურ-დესპოტური ჩაგვრის, პოლიტიკური უუფლებობის, სიღატაკისა და უმეცრების პირობებში.

ამ მხარეში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება იოლი, მარ-

(გაგრძელება მე-2 გვ.).

აჭარაში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა. ენერგიულად შრომობენ ქობულეთელი მეციტრუსეები. ისინი ყოველდღიურად ასობით ტონა მანდარინს აბარებენ შემფუთავ ქარხნებს. განსაკუთრებით გამოირჩევიან ქვედა ულიანოვკის, ჩაისუბნის, ხუცუბნის, ციხისძირის და სხვა მეურნეობათა მუშაკები. სურათზე: ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის კოლმეურნეობის მოწინავე მკრეფავი ეთერ რინიძე, რომელიც მანდარინის კრეფის ყოველდღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებს.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აჭარის მეციტრუსეებმა ხუთწლედის გეგმა შეასრულეს

ნ. ჭითანავა,
საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი

აჭარის მშრომელებმა კარგი ტრადიცია დაამკვიდრეს, ყველა სახის გეგმებს ვადამდე, დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. ამის საუკეთესო მაგალითია მეციტრუსეთა თავდადებული შრომა. ჯერ მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წლის ციტრუსოვანთა კრეფის სეზონი განახევრებულიც არ არის და დამამზადებელ ორგანიზაციებს ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული 126.300 ტონის ნაცვლად უკვე ჩააბარეს 128.600 ტონა ნაყოფი.

ციტრუსოვნებს აჭარის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში დიდი ადგილი უჭირავს. ჩვენი მშრომელები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ ამჟამად საქართველოს ციტრუსების ოთხი მეხუთედი აჭარაზე მოდის. თუ 1921 წელს ციტრუსი 397 ჰექტარზე იყო გაშენებული, ამჟამად 6 ათას ჰექტარს გადააჭარბა.

წინა წლების მკაცრმა ზამთარმა მძიმედ დააზიანა ციტრუსოვანთა ბაღები. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, პარტიის რაიონული კომიტეტებისა და მეურნეობათა ხელმძღვანელების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მეჩხერიანობა, აღდგენილია დაზიანებული ბაღები. სოფლის მშრომელთა დარაზმულობამ, აგროღონისძიებების გატარებამ უზრუნველყო უხვი მოსავლის მიღება.

წლევანდელ ბარაქიანი შემოდგომა გვაქვს. ჯერ კიდევ 25 ნოემბრისათვის მოკრეფილი იყო 22.500 ტონა ციტრუსი, ამით წლევანდელი გეგმა შესრულდა. გადაწყვეტილი გვაქვს ძირითადი გეგმა ორმაგად შევასრულოთ, სამშობლოს მივცეთ 60 ათასი ტონა ციტრუსი. ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ დროულად და უდანაკარგოთ ავიღოთ მოსავალი.

აჭარის კომუნისტები, მშრომელები ძალღონეს არ დაიშურებენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული გეგმების ვადამდე და წარმატებით შესასრულებლად.

მზრალად მოხნულია 141.786 ჰექტარი

მომავალი წლის საგაზაფხულო კულტურების დასათესავად მზრალი ძირითადად შემოდგომაზე იხვნება. მას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდებისათვის. ამიტომაც რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ცდილობენ გადაჭარბებით შეასრულონ მზრალად ხვნის დავალებები.

რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 25 ნოემბრის ცნობებით სულ მზრალად მოხნულია 141.786 ჰექტარი, გეგმით კი უნდა მოიხნას 171.493 ჰექტარი. ყველაზე მეტი — 18.301 ჰექტარი უნდა მოიხნას წითელწყაროს რაიონში. უკვე მოხნულია 15.654 ჰექტარი. გარდაბნის რაიონში მზრალად მოხნულია 6.000 ჰექტარზე მეტი. გეგმა კი 12 ათასი ჰექტარის მოხვნას ითვალისწინებს.

წალკის რაიონში მზრალად მოხნულია 11.156 ჰექტარი, ანუ გეგმის 108 პროცენტი. ეს სამუშაო სიღნაღის რაიონში შესრულებულია 97 პროცენტით, ახალქალაქის — 98, ბოგდანოვკის — 100, ახალციხის — 90, ქარელის — 90, გორის — 85, კასპის — 70, გურჯაანის — 63, მარნეულის რაიონში 66 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 91 პროცენტით.

მზრალად ხვნაში ჩამორჩებიან საგარეჯოს, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, მცხეთის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, დმანისის რაიონები.

დადგა მზრალად ხვნის გეგმის შესრულების გადამწყვეტი დღეები. საჭიროა გაძლიერდეს ამ სამუშაოს ტემპი. ვინც მეტსა და მაღალხარისხოვან მზრალად ხნულს მოამზადებს გაზაფხულისათვის, საუკეთესო ჯიშისა და ხარისხის თესლსაც დათესავს, უხვ მოსავალსაც მოიმკის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხთა მეგობრობა გამარჯვებათა წყარო

(გაგრძელება).

ტივი საქმე როდი იყო. ბევრმა წელმა განვლო, საბჭოთა რუსეთის, მისი სახელოვანი წითელი არმიის დიდი დახმარება და მეცადინეობა დასჭირდა, ბევრის განცდა, ბევრის ძალლევა მოუხდა მშრომელ ხალხს, სანამ საბოლოოდ დაამკვიდრებდა თავის ძალაუფლებას ტაჯიკეთის მიწაზე.

იმ ძნელ ჟამს შუა აზიაში რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილმა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თურქესტანის საქმეთა კომისიამ. მან ამ მხარის ხალხის მასებს ფასდაუდებელი პრაქტიკული დახმარება გაუწია ახალი ცხოვრების დამკვიდრებაში. კომისიის შექმნასთან დაკავშირებით, მიმართავდა რა თურქესტანის კომუნისტებს, ვ. ი. ლენინი წერდა: „გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ახლა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისათვის თურქესტანის ხალხებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას უზარმაზარი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მთელი აზიისა და მსოფლიოს ყველა კოლონიისათვის, ათასობით მილიონი ადამიანისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება საბჭოთა მუშურ-გლეხური რესპუბლიკის დამოკიდებულებას სუსტი, დღემდე დაჩაგრული ხალხებისადმი".

შუა აზიაში, კერძოდ, ტაჯიკი ხალხის დასახმარებლად, პარტიამ გაგზავნა ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები, როგორიც იყვნენ ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევი, მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზე, მიხეილ ივანეს-ძე კალინინი, გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე, იან ერნესტის-ძე რუძუტაკი, შალვა ზურაბის-ძე ელიავა და მთელი რიგი სხვა ცნობილი კომუნისტები. ბუხარის ემირის, კონტრრევოლუციური ბასმაჩებისა და მათი უცხოელი მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელი გაითქვა წითელი არმიისა და წითელი მოხალისე რაზმების ბევრმა მეთაურმა, პოლიტმუშაკმა, მებრძოლმა. ამ შორეულ მხარეში რუსეთის სამრეწველო და კულტურული ცენტრებიდან ჩამოვიდა ათასობით მუშა, ექიმი, მასწავლებელი, მშენებელი — რუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების შესანიშნავი შვილები.

ტაჯიკეთში კარგად იცნობენ გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს ევგენი ნიკანორის-ძე პავლოვსკის, რომელიც რესპუბლიკაში თანამედროვე მეცნიერული აზრის სათავეებთან იდგა. ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის უშუალო ორგანიზატორი იყო. უძვირფასესი ნაზბოჭკოიანი ბამბის უხვმოსავლიანი ჯიშების შექმნაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა თვალსაჩინო მეცნიერმა სელექციონერმა ვიაჩესლავ პროკოფის-ძე კრასნოკუტსკიმ. ცენტრალური რაიონებიდან ტაჯიკეთში ჩამოსული ექიმებისა და მასწავლებლების დახმარებით საძირკველი ეყრებოდა ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების თანამედროვე სისტემას.

შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში მტკიცდებოდა ტაჯიკი ხალხის ეროვნული თვითშეგნება, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელებთან ინტერნაციონალური სოლიდარობა. ტაჯიკი ხალხის რიგებიდან გამოიჩნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის პირველი კერების შექმნისათვის, ახალ საწყისებზე ცხოვრების გარდაქმნისათვის შესანიშნავი მებრძოლები.

ჯურა ზაქიროვმა, ახმატბეკ მავლიანბეკოვმა, ჩინორ იმამოვმა, შირინშო შოტემორმა, აბდულო რახიმბაევმა, რავშან ბაიმურადოვმა, ბობო სადიკოვმა, ზაინაბ-ბიბი ყურბანოვამ, მუკულ სულტანოვმა და ბევრმა სხვამ ღირსეული წვლილი შეიტანეს ტაჯიკი ხალხის სახელოვან ისტორიაში. რესპუბლიკის მშრომელები წმიდად ინახავენ საკოლმეურნეო წყობილების ფუძემდებლების საიდ ხოჯა ურუნხოჯაევისა და ქარიმ ისმაილოვის ხსოვნას. დიდი ხნის მანძილზე ისინი სათავეში ედგნენ მსხვილ მეურნეობებს და თვალსაჩინო დამსახურებისათვის ორჯერ მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

ზეიმის დღეს, ჩვენ კიდევ ერთხელ დიდი პატივისცემისა და მადლიერების სიტყვით მივმართავთ ყველა იმათ, ვინც გულითა და გონებით იწამა პარტიის შთაგონებული სიტყვა, დიადი იდეების შუქი შეჰქონდა ჩვენი სამშობლოს ყველაზე შორეულ კუთხეებში, ამკვიდრებდა რევოლუციის მონაპოვრებს, თავდადებით იბრძოდა ტაჯიკეთში ახალი ცხოვრების გამარჯვებისათვის.

შუა აზიის მიწაწყალზე სოციალიზმის მშენებლობა მთელი სიცხადით მოითხოვდა აქ მცხოვრები ხალხების ეროვნულ თავისებურებათა ყოველმხრივ გათვალისწინებას. თვით ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა შუა აზიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობის სრულყოფის საკითხი. ამ საკითხის გადაჭრისადმი პრინციპული მიდგომა გამონახა ვ. ი. ლენინმა. მიმდინარე მოვლენების ანალიზმა, კლასობრივი ძალების თანაფარდობისა და განაწილების ფხიზელმა გათვალისწინებამ, ტაქტიკის მოქნილობამ საშუალება მისცა მას გამოეტანა ერთადერთი სწორი დასკვნები, რომლებიც საფუძვლად დაედო პარტიის ეროვნულ პოლიტიკას. მის თანმიმდევრულ განხორციელებას 1924 წელს მოჰყვა უზბეკი, თურქმენი, ყირგიზი და ტაჯიკი ხალხების სახელმწიფო კერების შექმნა. ამით გადაიჭრა ამ ხალხთა ეროვნული კონსოლიდაციის პრობლემა. შეიქმნა მათი საუკუნოვანი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის, მათი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ბაზა.

ტაჯიკი ხალხის, ისევე როგორც ყოფილი მეფის რუსეთის სხვა ჩაგრული ხალხების, ძლევამოსილი წინსვლა ახალი ცხოვრებისაკენ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი გახდა. ამით პრაქტიკულად შეესხა ხორცი ლენინის მოძღვრებას წინათ ჩამორჩენილ ხალხთა კაპიტალისტური განვითარების სტადიის გაუვლელად სოციალიზმზე გადასვლის შესაძლებლობის შესახებ.

სოციალიზმის წლების მანძილზე საბჭოთა ტაჯიკეთმა მიაღწია სოციალურ-ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული პროგრესის მწვერვალებს. ახლა რესპუბლიკის ეკონომიკა საერთო-საკავშირო ეკონომიკის — ერთიანი ურთიერთდაკავშირებული სახალხო-სამეურნეო კომპლექსის — განუყოფელი ნაწილია. აშენდა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ინდუსტრიის ასზე მეტი დარგის მსხვილი სამრეწველო საწარმოები. სწრაფი ტემპებით ვითარდება მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობა. სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების ფართო ქსელის ბაზაზე ვითარდება რესპუბლიკის სახალხო განათლება და მეცნიერება. ხალხის სიამაყე გახდა ტაჯიკური ლიტერატურა, მუსიკა, ფერწერა, თეატრი.

რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა, განმტკიცდა და გამოიწრთო თავისი არსით ინტერნაციონალისტური მუშათა კლასი, რომელიც ტაჯიკეთის მშრომელთა გადამწყვეტი ძალა, მათი ავანგარდია. კომუნიზმისათვის ისტორიულ ბრძოლაში მუშათა კლასი სულ ახალ-ახალ მიჯნებს აღწევს. მისი განმასხვავებელი ნიშნებია რწმენა და შთაგონება, ურყევი ნება და სიმტკიცე პარტიის წინასწარდასახულობათა შესრულებაში.

მუშათა კლასის მხარდამხარ თავდადებით შრომობს კოლმეურნე გლეხობა. სულ სხვანაირი გახდა ტაჯიკ დეჰკანთა ცხოვრებისა და შრომის პირობები. შეიცვალნენ თვით ადამიანებიც. თანამედროვე დეჰკანი, რომელმაც წინაპრებისაგან შეითვისა გამრჯეობა, შრომისმოყვარეობა, მიწის სიყვარული, სრულყოფილად ფლობს მოწინავე ტექნიკას, ფართოდ ნერგავს წარმოებაში მეცნიერების უახლეს მიღწევებს. იგი ახალი სამყაროს შეგნებული და აქტიური მშენებელია. მის შრომას წლითიწლობით სულ უფრო უხვი და მრავალფეროვანი ნაყოფი მოაქვს.

მშრომელთა ერთიან მწყობრში გულდაჯერებით მიდის ტაჯიკეთის ინტელიგენცია. ინტელიგენცია, რომელმაც თითქოს დააგროვა ხალხის მასების ცოდნა, გამოცდილება, გონება, ორგანულად შეადუღაბა იგი კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობასთან, ყოველივე ამას უხვად უბრუნებს ხალხს ფასდაუდებელი სულიერი საგანძურის სახით, ემსახურება მის ზრდას, განვითარებას. აღმოსავლეთის ლიტერატურის კლასიკოსის სადრიდინ აინის, მირზო ტურსუნ-ზადეს, მ. მირშაქარისა და სხვა ტაჯიკ მწერალთა ნაწარმოებები, ტაჯიკეთის კულტურის გამოჩენილ ოსტატთა შემოქმედებითი მიღწევები ფართოდ ცნობილია ჩვენს ქვეყანასა და მთელს მსოფლიოში. ბევრი გულთბილი სიტყვა მინდა ვთქვა მწერლების, ექიმების, მეცნიერი მუშაკებისა და ტექნიკური ინტელიგენციის შესახებ. თქვენი რესპუბლიკისათვის ხომ ეს სრულიად ახალი მოვლენაა, რომელიც მთლიანად აღმოცენდა სოციალიზმის მადლიან ნიადაგზე.

სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ტაჯიკი ქალის მძიმე ხვედრი. „როგორც მწყემსს შეუძლია დაკლას ყოველი ცხვარი თავისი ფარიდან, ასევე ქმარს უფლება აქვს განაგებდეს თავისი ცოლის სიცოცხლეს" — ასეთი იყო რელიგიის სასტიკი კანონი. ზღურბლიდან კერამდე, კერიდან აკვნამდე — ასეთი ხვედრი არგუნა მას ფეოდალურმა წყობილებამ. დღეს კი ტაჯიკი ქალი სოციალისტური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია. ათასობით ტაჯიკი ქალი თვალსაჩინო როლს ასრულებს წარმოებაში, მეცნიერებაში, კულტურაში, რესპუბლიკისა და მთლიანად ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ძირფესვიანად შეიცვალა ქალის მდგომარეობა ოჯახში. ახლა ქალი-დედა, ქალი-მშრომელი საყოველთაო პატივისცემით, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობს.

სამართლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტაჯიკეთი დღეს — ეს არის ახალი სოციალისტური ცხოვრების წესი. შთამბეჭდავი წარმატებანი, რომლებითაც ამაყობს რესპუბლიკა, მოპოვებულია რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების თავდადებული შრომით, ყველა საბჭოთა ადამიანის ძმური მხარდაჭერის და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის უდიდესი დახმარების მეოხებით. და რა თქმა უნდა, ტაჯიკეთის, ერთიან კავშირში გაერთიანებული სხვა რესპუბლიკების ძლიერების წყარო, მძლავრი მამოძრავებელი ისტორიული პროგრესის გზაზე ხალხთა დიადი მეგობრობა გახდა.

ხალხთა მეგობრობა სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარია. რევოლუციის ქარცეცხლში შობილი, იგი წრთობას, სიმწიფის გამოცდას გადიოდა სამოქალაქო ომისა და პირველი ხუთწლედების წლებში. ამ მეგობრობის სიმტკიცე და უძლეველობა შემოწმებულია ისეთ უმძიმეს განსაცდელში, როგორიც ქვეყნისათვის იყო დიდი სამამულო ომი. მოსკოვის ოლქის დათოვლილ ველებში, ვოლგისა და დონის ნაპირებზე, უკრაინის ველებსა და კავკასიის მთებში საბჭოთა მეომრების რიგებში სიცოცხლეს არ ზოგავდნენ ტაჯიკი ხალხის შვილები. თავიანთი მშობლიური კერებიდან ათასობით კილომეტრზე ისინი იჩენდნენ ისეთსავე გმირობასა და თავდადებას, თითქოს პამირის მთებს, ვახშისა და ფიანჯის ხეობებს იცავდნენ, და როგორც ხალხის მადლიერი ხსოვნის სიმბოლო მარად იდგება ალისფერი ყვავილები რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის მიწა-წყალზე, განთავისუფლებული ევროპის მიწა-წყალზე, ყველგან, სადაც ტაჯიკი მეომრები, ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მეომრები იბრძოდნენ თავიანთი დიადი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ტაჯიკეთის 50 წლისთავი განეკუთვნება უკანასკნელი წლების იმ სხვა ღირსშესანიშნავ მოვლენებს, რომლებიც ყველა საბჭოთა ხალხის ძალისა და შეკავშირების, მათი ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად იქცა. ჩვენ ზეიმით აღვნიშნეთ სსრ კავშირის 50 წლისთავი, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის ნახევარი საუკუნის იუბილეები. სულ ახლახან ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა იზეიმეს მოლდავეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის იუბილეები. ეს იუბილეები, როგორც გახსოვთ, გაიხსნა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის შინაარსიანი და მკაფიო სიტყვით კიშინიოვში გამართულ ზეიმზე.

დღევანდელი დღესასწაული ტაჯიკეთში თითქოს აგვირგვინებს დიდ, ჭეშმარიტად საყოველთაოსახალხო სჯა-ბაასს გმირული გზის შთამბეჭდავ შედეგებზე, ერთიან სახელმწიფო კავშირში გაერთიანებული ყველა მოძმე ხალხის მიღწევათა სათავეებზე. და ამ დღეებში, გონების თვალს ვავლებთ რა განვლილ გზას, კვლავ განუზომელი სიამაყით ვლაპარაკობთ სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფზე, ვრწმუნდებით, რომ სწორია პარტიის მიდგომა ისეთი დიდმნიშვნელოვანი და რთული საზოგადოებრივი სფეროსადმი, როგორიც არის ეროვნული ურთიერთობა. კაცობრიობას არ ახსოვს სხვა მაგალითი, როცა უზარმაზარ ტერიტორიაზე, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მიღწეული ყოფილიყოს ერებისა და ეროვნებების მჭიდრო შეკავშირება, რომლებიც ესოდენ განსხვავდებიან ეკონომიური და კულტურული განვითარების დონით, მოსახლეობის რიცხვით, თავიანთი ისტორიითა და ეროვნული ტრადიციებით.

ეროვნული საკითხის წარმატებით გადაჭრა ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ კომუნისტთა პარტიას ყოველთვის მიაჩნდა იგი სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის უფრო ზოგადი საკითხის ნაწილად. მხოლოდ სოციალიზმმა შექმნა დიდი და პატარა ხალხების ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული განვითარების პირობები. ეროვნული საკითხის გადაჭრა შესაძლებელი გახდა იმიტომაც, რომ პარტიამ გამონახა ერთა გაერთიანების ისეთი სახელმწიფო ფორმა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, — რომელმაც ყველაზე მეტად მოგვცა საშუალება უზრუნველგვეყო საბჭოთა ხალხების ერთიანობა, მათი ინტერესების ორგანული შეხამება. და ბოლოს, ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ პარტიამ ერთიანი ინტერნაციონალისტური მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით შეაკავშირა ხალხები.

პარტია, რომელიც თანმიმდევრულად იბრძვის მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის, მუდამ შეურიგებლად ებრძოდა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, ეროვნული კარჩაკეტილობისა და შეუღწევლობის ყოველგვარ გამოვლინებებს, ლენინური ეროვნული პოლიტიკიდან სხვა გადახვევებს. სოციალისტური ინტერნაციონალიზმი დღეს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი საბჭოეთის ყველა ეროვნების მშრომელებს, იგი მათი ქცევის ნორმად იქცა. ძირეული ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების თავისებური შედეგი, ჩვენი ქვეყნის ერთა და ეროვნებათა ერთობლივი განვითარების, მათი საერთო ბრძოლისა და შრომის შედეგია ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის შექმნა.

ტაჯიკეთის 50 წლისთავთან ერთად ჩვენ აღვნიშნავთ რესპუბლიკის კომპარტიის ნახევარი საუკუნის იუბილეს. მთელი თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე ტაჯიკეთის კომპარტია მუდამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განუყოფელი, ერთგული რაზმი იყო, რომელიც მჭიდროდ შეკავშირებულია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ გამოზარდა, აღზარდა და პოლიტიკურად გამოაწრთო მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც ახლა მუშაობენ ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში. ისინი ნამდვილი კომუნისტები, თავიანთი საქმის ჩინებული მცოდნენი არიან. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საოლქო, რაიონული და საქალაქო პარტიული ორგანოები ცდილობენ ყოველნაირად განავითარონ ტაჯიკეთის კომუნისტთა აქტივობა და აიმაღლონ მათი ავანგარდული როლი, უნარიანად აერთიანებენ მშრომელთა ღონისძიებებს, წარმართავენ მათ კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის საერთო კალაპოტით.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, გულითადად მივულოცო ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის ყველა კომუნისტს თქვენი პარტიული ორგანიზაციის 50 წლისთავი, გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ კომუნისტები კვლავაც განუხრელად და თანმიმდევრულად განახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ ხაზს, შეუპოვრად იბრძოლებენ კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის.

ამხანაგებო!

საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ კომუნისტური მშენებლობის გზაზე. თანმიმდევრულად იზრდება ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე, მისი ინდუსტრიული და თავდაცვითი ძლიერება. წინათ არნახული მასშტაბით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გარდაქმნა. ეკონომიკის განვითარება სულ უფრო მეტად ექვემდებარება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუწყვეტელი ამაღლების, მათი შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების მრავალფეროვან ამოცანებს. დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის ამაღლების, საზოგადოების მთელი პოლიტიკური ორგანიზაციის სრულყოფის გზაზე. უდიდესი, თავისი მნიშვნელობით ისტორიული ძვრებით ხასიათდება საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება.

წინათ უმაგალითო სამეურნეო მასშტაბები, ფართო სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა, ქვეყანაში შექმნილი საქმიანი, ნამდვილად შემოქმედებითი განწყობილების ვითარება, — ყოველივე ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია უკანასკნელი წლებისათვის, რომლებიც აღსავსეა პარტიის ტიტანური საქმიანობით სკკპ XXIII და XXIV ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც მტკიცედ იყრდნობა პარტიული ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს, კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცებს ერთმანეთისადმი მომთხოვნელობის და ადამიანისადმი ამხანაგური დამოკიდებულების, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს, გაადიდებს თითოეული კომუნისტის, თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობას მინდობილი კონკრეტული უბნისათვის. ეს მიგვაჩნია ჩვენი წყობილების დაუშრეტელი სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთ წყაროდ, კომუნისტური მშენებლობის საქმეში ახალი გამარჯვებების საწინდრად.

მიმდინარე ცვლილებანი, მათი გაქანება ყველგან იგრძნობა. დღეს ჩვენ ვაყენებთ და ვწყვეტთ ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა წინათ არც კი შეგვეძლო. ახლახან მწყობრში ჩადგა მსოფლიოში უდიდესი კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგური. საპროექტო სიმძლავრეს მიაღწია ვოლგის საავტომობილო ქარხანამ, შენდება ახალი გიგანტი კამაზე, ბაიკალ-ამურის მაგისტრალი. დაიწყო მთელი არაშავმიწანიადაგიანი რუსეთის ძირეული გარდაქმნა.

ჩვენი დროის განმსაზღვრელ ნიშნებს ვხედავთ ყოველ რესპუბლიკაში, ჩვენი ქვეყნის ყოველ, ყველაზე დაშორებულ კუთხეში. საბჭოთა ტაჯიკეთის ყოველდღიური სინამდვილეც ამის დამაჯერებელი დადასტურებაა. ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, მისთვისაც ყველაზე დამახასიათებელია მომავლისაკენ სწრაფვა. რესპუბლიკა ახალმშენებლობათა ხარაჩოებშია. პარტიის დირექტივების შესაბამისად აქ იქმნება სამხრეთ ტაჯიკეთის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი, რომელშიც შევა იავანის დიდი ელექტროქიმიური კომბინატი და ტაჯიკეთის ალუმინის ქარხანა — რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის პირმშო. მწყობრში დგება თერმეზ-იავანის რკინიგზა. ოთხი დღის წინათ, ვადაზე ერთი თვით ადრე, თერმეზიდან ვახშის ხეობის ცენტრში ქალაქ კურგან-ტიუბეში ჩადგა პირველი მატარებელი. მაგისტრალის მშენებლობის დამთავრების შემდეგ თერმეზ-იავანის ტრასით ტვირთზიდვა დღე-ღამეში ათეულ ათასობით ტონას მიაღწევს.

სულ უფრო გამოკვეთილ ინდუსტრიულ იერს იღებს სოფლის მეურნეობა. შეიქმნა მძლავრი ენერგეტიკული ბაზა — დღეს რესპუბლიკაში 6 დღეში იწარმოება, მაგალითად, იმდენი ელექტროენერგია, რამდენიც მიღებული იყო მთელ 1940 წელს.

დაძაბული სამეურნეო ცხოვრების, მეცნიერული აზრის ცენტრი, კულტურულ ღირებულებათა საგანძურია მშვენიერი დუშანბე. მრავალსართულიანი საცხოვრებელი უბნები, მწვანეში ჩაფლული ბაღები და პარკები, ახალი მონუმენტური საზოგადოებრივი შენობები მას ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ქალაქების რიგებში აყენებენ. ხომ არიან ჯერ კიდევ ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ დუშანბე როგორც დიდი ყიშლაღი, სადაც თიხის სახლების კარ-ფანჯრები მხოლოდ ეზოებში გამოდიოდა, ქუჩები ჩაბნელებული და მიყრუებული იყო. ახლა კი ტაჯიკეთის დედაქალაქის კარ-ფანჯარა ღიაა მთელი ქვეყნისათვის, მთელი მსოფლიოსათვის.

უძველესი ტაჯიკეთის მიწა-წყალზე ახალი ცხოვრების ზეიმის სიმბოლოდ იქცა ნურეკი. მე მითხრეს, რომ ნურეკი რუსულად ჩირაღდანს ნიშნავს. ის ქალაქი, რომელიც მაღალ ქედებს შორის გამავალ ვიწრო ტრასაზე მდებარეობს, წინათ მხოლოდ ქარავნებს უნათებდა ძნელ გზას. მძლავრმა ელექტროსადგურმა, რომელიც აშენდა აქ პარტიის ნებით, საბჭოთა ხალხის გმირული შრომით, ზღაპრულად გარდაქმნა ეს მთიანი მხარე, გადააქცია ახალი ინდუსტრიული რაიონის ცენტრად. რესპუბლიკის ყველა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთ მიდის აქედან ელექტროგადამცემი ხაზები. სამართლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნურეკი დღეს ჩირაღდანია, რომელიც შუქს ფენს სოციალისტურ ტაჯიკეთს, განათებულს შუა აზიის ყველა მხარეს!

ჩვენი პარტიის კურსის სისწორის დამაჯერებელი მოწმობაა მიმდინარე ხუთწლედის დავალებათა შესრულება. ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით სრულდება ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების პროგრამა. დიდი წარმატებანია მოპოვებული ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობაში. მთლიანად პირველი ოთხი წლის წინასწარი შედეგები დამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია, ისინი იწვევენ ჩვენს სიამაყეს საბჭოთა ხალხის მამაცური, გმირული შრომისადმი, გვინერგავენ რწმენას, რომ 1975 წელი გახდება მეცხრე ხუთწლედის გეგმის წარმატებით დამთავრების წელი.

საგეგმო დავალებათა შესრულებას დიდი მნიშვნელობა, ყოველივე იმის მნიშვნელობა, რაც დარჩენილ დროში უნდა განხორციელდეს, ავალებს ყველა კოლექტივს, თვითეულ მშრომელს განსაკუთრებული მომთხოვნელობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ შესაძლებლობათა შეფასებას, აუცილებლობა მიაპყრონ გადამწყვეტ ამოცანებს, ამაღლონ ორგანიზებულობა, დისციპლინა და პირადი პასუხისმგებლობა. ამბები, რომლებიც მოდის ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან, მინდვრებიდან და სამშენებლო მოედნებიდან, მოწმობენ, რომ საბჭოთა ადამიანებს ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი გადამწყვეტი როლი ხუთწლედის ბედისათვის ბრძოლაში.

მუშების, კოლმეურნეების, სახალხო მეურნეობის სპეციალისტების მაღალი შრომითი პატრიოტიზმი, საწარმოო ბრძოლა უდიდესი ძალით ვლინდება სოციალისტური შეჯიბრების დროს. ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, შეჯიბრებას ტაჯიკეთში ახასიათებს შემოქმედებითი მაღალი დაძაბულობა, მასობრივი თაოსნობა, ინიციატივა. წარმატებით ჩაიარეს დამკვრელურმა შრომითმა კვირეულმა, რომლებიც მიეძღვნა მოძმე რესპუბლიკებს, გმირ ქალაქებს — მოსკოვსა და ლენინგრადს ტაჯიკეთის სსრ შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ბევრმა წარმოების მუშაკმა უკვე შეასრულა საგეგმო დავალებანი და მომავალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს.

გუშინ გავეცანით ტაჯიკეთის რესპუბლიკის ორი შესანიშნავი კოლექტივის — ნურეკის ჰიდროკვანძისა და დუშანბეს საფეიქრო კომბინატის კოლექტივების მუშაობას. ნურეკში გამართულმა მიტინგმა და საუბრებმა, თქვენს სახელოვან ფეიქრებთან შეხვედრამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ზუსტი და შეთანხმებული მუშაობა, შრომითი პატრიოტიზმი, პასუხისმგებლობის გრძნობა, ზრუნვა საერთო საქმისათვის — ყოველივე ეს დიდ კმაყოფილებას იწვევს, გვინერგავს რწმენას, რომ ამ კოლექტივთა წინაშე დასახული დიდი ამოცანები წარმატებით შესრულდება.

საყოველთაო მოწონების ღირსია „ჰიდროსპეცმშენის" სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირის ტაშარ ყურბანოვის, დუშანბეს საფეიქრო კომბინატის ოლღა სტოიკოვას, ლენინაბადის აბრეშუმის კომბინატის აკბარ ისაევის ბრიგადის, ყაირაკუმის მეხალიჩეების ირომ ხალიკოვისა და ვლადიმერ ზაქარიას-ძე მასლაკოვის ბრიგადების, ბამბის საკრეფი მანქანის მექანიკოს-მძღოლის შაროფ ტურობოვის, მწვალავ სუფრო ბოკიევისა და ბევრი და ბევრი სხვა სახელოვანი მშრომელის შესანიშნავი საქმეები. ისინი ჩვენი დაძაბული შრომითი დღეების ნამდვილი გმირები არიან და სამართლიანად შეადგენენ მშვიდობიანი დროის დიდ შრომით გვარდიას.

სწორედ ამ დღეებში დამთავრდა დაძაბული ბრძოლა ბამბისათვის, ბრძოლა, რომელშიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მთელი რესპუბლიკა მონაწილეობდა. სახელმწიფოს ჩაბარდა 870 ათას ტონაზე მეტი ხამი ბამბა. ეს, ამხანაგებო, ძალიან დიდი წარმატებაა! მასში შედუღაბებულია ათასობით ადამიანის — კოლმეურნეების, მუშების, მოსამსახურეების, სტუდენტების, საბჭოთა არმიის მეომრების გმირული შრომა, მაღალი შეგნებულობა, მასობრივი ენთუზიაზმი. ნება მიბოძეთ სულითა და გულით მივულოცო ტაჯიკეთის მებამბეებს, ყველა მშრომელს შესანიშნავი გამარჯვება!

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ამ მაღალი ტრიბუნიდან მივულოცო აგრეთვე სხვა ბამბისმთესველი რესპუბლიკების სახელოვან მშრომელებს, რომლებიც წელს ამინდის განსაკუთრებით ძნელ პირობებში მუშაობდნენ და ყველა ეტაპზე — დაწყებული თესვითა და დამთავრებული კრეფით — დაძაბულად იბრძოდნენ მოსავლისათვის, გაიმარჯვეს ამ ბრძოლაში და საბჭოთა მებამბეობის ისტორიაში უმაღლესი შედეგები მოიპოვეს.

ახლანდელი ხუთწლედი მარტო იმით როდია აღსანიშნავი, რომ იგი, ისევე როგორც წინა ხუთწლედები, ისტორიაში შევა როგორც კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი. მას მნიშვნელოვანწილად ვუკავშირებთ აგრეთვე ეკონომიკაში შემობრუნების დაწყებას, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ განახორციელა. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების კურსი, რომელიც პარტიამ აიღო, უკვე სასურველ შედეგებს გვაძლევს. დიდმნიშვნელოვან მიღწევად მიგვაჩნია, კერძოდ, ის ფაქტი, რომ გასული წლების მანძილზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი იმას, რომ კურსი, რომელსაც პარტია ახორციელებს, დროებითი ღონისძიება როდია. იგი სცილდება მიმდინარე ხუთწლედის ფარგლებს და გაანგარიშებულია ხანგრძლივი პერსპექტივისათვის. პარტია, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს მას და ესწრაფვის გაზარდოს ეკონომიური პოტენციალი, კვლავაც კიდევ მეტ ყურადღებას დაუთმობს ჩვენი საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ხარისხობრივ ფაქტორებს.

რა თქმა უნდა, წინათაც დიდი ყურადღება ექცეოდა ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს. მაგრამ თუ წარსულში სახალხო მეურნეობის განვითარება ხორციელდებოდა უმთავრესად ახალი საწარმოო ობიექტების შექმნის გზით, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სიგანეში იზრდებოდა, ახლა საჭიროა რამდენადმე სხვაგვარი მიდგომა. უნდა ვესწრაფოდეთ იმას, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეები, მკვეთრად გავზარდოთ მთელი ჩვენი უდიდესი ეკონომიური პოტენციალის უკუგება. ეს იგი შემდგომი სამეურნეო განვითარება, ასე ვთქვათ, სიღრმეში წარვმართოთ.

დღეს საქმე ეხება საწარმოო სიმძლავრეების, მოწყობილობის, სათესი ფართობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უფრო ეფექტიან გამოყენებას, დამატებითი შინაგანი რეზერვების გამოძებნას, ჭეშმარიტად ყაირათიან დამოკიდებულებას ხალხის დოვლათის ყოველი ნამცეცისადმი და, რა თქმა უნდა, ქვეყნის შრომითი რესურსების უფრო რაციონალურ, მე ვიტყოდი, სათუთ გამოყენებას. გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი მშენებლობაში, სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში. დღეს, როცა ხარისხის საკითხებს უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება, ამგვარი ნაკლოვანებები განსაკუთრებით შეუწყნარებელია.

„ახალ ხუთწლედში, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — კიდევ უფრო თანმიმდევრულად და მტკიცედ უნდა გავატაროთ ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების ხაზი", ასეთი მიდგომა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანოებისაგან მოითხოვს ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესებას, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი მასების შემოქმედებითი ინიციატივის, პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ყოველმხრივ განვითარების მნიშვნელობას. ეჭვი არ გვეპარება, რომ საბჭოთა ადამიანები, ყველა შრომითი კოლექტივი მხურვალედ დაუჭერენ მხარს პარტიის იმ ამოცანას, რომ მეათე ხუთწლედი გადავაქციოთ ხარისხის ხუთწლედად ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლის საყოველთაო გაქანება მიენიჭება, იგი ჭეშმარიტად საყოველთაოსახალხო საქმე გახდება.

დირექტივებს მომდევნო ხუთწლედის გეგმის პროექტის შესახებ, რომლებიც ამჟამად მუშავდება, შევიტანთ სკკპ მორიგი XXV ყრილობის განსახილველად. პარტიის კოლექტიურ აზრს ხორცი შეესხმება მკაფიო დებულებებითა და მითითებებით. მათი რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს შესამჩნევად ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე, გადავდგათ ახალი დიდი ნაბიჯი კომუნიზმის გზაზე.

ამხანაგებო!

მშრომელი ადამიანის ინტერესები მუდამ იყო და არის საზოგადოებრივი გარდაქმნათა, იმ კონკრეტულ ღონისძიებათა მნიშვნელობის უმაღლესი კრიტერიუმი, რომლებიც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდება როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. დიდმა ოქტომბერმა, რომელმაც დაამხო ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წყობილება, ძირფესვიანად შეცვალა მშრომელ ადამიანთა მდგომარეობა, დაუსახა მათ მომავლის ნათელი გზა.

ჩვენმა რევოლუციამ ამავე დროს გამოაცხადა თანასწორობისა და სამართლიანობის საწყისებზე დამყარებული პრინციპულად ახალი, ისტორიაში არნახული ურთიერთობა ხალხთა შორის. საერთაშორისო ასპარეზზე მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გამოჩენამ დღის წესრიგში მაშინვე დააყენა საკითხი კაპიტალისტურ გარემოსთან მისი ურთიერთობის შესახებ.

ვ. ი. ლენინმა იმ დროის საერთაშორისო ვითარების გულმოდგინე ანალიზზე დაყრდნობით მთელი დამაჯერებლობით დაასაბუთა, რომ შესაძლებელია და აუცილებელია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მშვიდობიანი თანაცხოვრება" საბჭოთა რესპუბლიკისა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. მაგრამ მაშინ ეს პრინციპი არ ცნეს, მას მტრულად შეხვდა მსოფლიო ბურჟუაზია, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს იმპერიალიზმმა დაუპირისპირა თავისი მიდგომა, თავისი სტრატეგია, რომელსაც საფუძვლად ედო აშკარა მისწრაფება ბოლო მოეღო ბოლშევიზმისათვის, პირისაგან მიწისა აღეგავა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო.

ისტორიამ თავისი განაჩენი გამოუტანა ამგვარ სტრატეგიასაც და მის დამასაბუთებელ მრავალ კონცეფციასაც. „ძალის პოზიციიდან" პოლიტიკის დამარცხებამ — ვლინდებოდა ეს „სანიტარიული კორდონის", ფაშისტური აგრესიის წაქეზების, აშკარა შეიარაღებული თავდასხმის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი — „შეკავების", თუ „კომუნიზმის უკუგდების" ფორმით — იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან მოითხოვა ხელი აეღოთ ბევრ ანტისაბჭოთა დოგმასა და დოქტრინაზე, რომლებიც ათწლეულების მანძილზე განსაზღვრავდნენ მათს საგარეოპოლიტიკურ ხაზს. და ის ფაქტი, რომ სამართლიანი, დემოკრატიული მშვიდობის იდეალებს სულ უფრო მეტად აღიარებენ დღეს, რომ ისინი მკვიდრდებიან საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში, ის ფაქტი, რომ დასავლეთის ქვეყნები იძულებულნი არიან ზედიზედ დაადგნენ ჩვენთან თანამშრომლობის გზას, არ შეიძლება არ მივიჩნიოთ საბჭოთა კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების, ლენინური საგარეო პოლიტიკის ცხოველმყოფელობის დამაჯერებელ დადასტურებად, ჩვენი პარტიის XXIV ყრილობაზე განსაზღვრული კურსის თანმიმდევრული და მტკიცე განხორციელების შედეგად.

რა თქმა უნდა, ერთბაშად და ყველა საკითხში როდი ვამყარებთ თანამშრომლობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ჩვენს ურთიერთობას მათთან აქვს განსხვავებული თვისებრივი მახასიათებლები, ასე ვთქვათ, ავსებს სხვადასხვა დონე. ტრადიციულად მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს ყველა სახელმწიფოსთან, რომლებიც იჩენენ მშვიდობისმოყვარეობას და მზად არიან თანამშრომლობისათვის, ზუსტად იცავენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, დიდ და პატარა სახელმწიფოებთან, რომლებსაც აქვთ მრავალსაუკუნოვანი ისტორია და შედარებით ახალგაზრდა სახელმწიფოებთან.

ახლახან საბჭოთა სახელმწიფო დელეგაცია ეწვია ფინეთის რესპუბლიკას ზავის შესახებ შეთანხმების დადებისა და „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოების შექმნის 30 წლისთავთან დაკავშირებით. ამ ვიზიტმა, შეხვედრებმა და საუბრებმა პრეზიდენტ უ. კ. კეკონენთან, ფინეთის სხვა ხელმძღვანელებთან კვლავ დამაჯერებლად ცხადყვეს, რამდენად წარმატებითი შეიძლება იყოს სახელმწიფოთა ურთიერთობა, როცა მას საფუძვლად უდევს ნდობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების პრინციპები. სასიხარულოა, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობა არა მარტო ჩვენს ქვეყანას, არამედ მსოფლიო საზოგადოებრიობასაც მიაჩნია სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების ურთიერთობის კარგ მაგალითად.

საერთოდ, კმაყოფილი ვართ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთთან ურთიერთობის მდგომარეობით. აქ სხვადასხვა მიზეზით, როგორც ცნობილია, შეიცვალა ხელმძღვანელობა. ის ფაქტი, რომ ახალი ლიდერები საგარეო პოლიტიკის დარგში ცდილობენ განაგრძონ დაძაბულობის შენელების შემდგომი განვითარების, საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის განმტკიცების კურსი, მოწმობს, რომ თანმიმდევრულად მიმდინარეობს მსოფლიოში პოზიტიური ცვლილებების გაღრმავების პროცესი. ამას ადასტურებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ჰ. შმიდტთან ამას წინათ გამართული მოლაპარაკების შედეგები. ამასვე შეუწყობს ხელს, იმედი გვაქვს, ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი საუბრები საფრანგეთის პრეზიდენტ ჟისკარ დ'ესტენთან, რომელიც დეკემბრის დამდეგს გაიმართება.

უკანასკნელ ხანს ბევრი დიდმნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა საბჭოთა ხელმძღვანელებსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო დელეგაციათა შორის. ამ დღეებში დამთავრდა ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯ. ფორდთან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგები და მთლიანად და სავსებით მოიწონეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობა.

როგორც ჩვენი ქვეყნის ხალხებისათვის, ისე მთელი მსოფლიოს პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ორი მხარის მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც გააღრმავონ ერთობლივ ღონისძიებათა მასშტაბი და ინტენსივობა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ მოხერხდა არსებითი ნაბიჯის გადადგმა წინ რაკეტულ-ატომური შეიარაღების შეზღუდვის, შემდეგ კი შემცირების პრობლემისადმი მიდგომის გზაზე. მსოფლიო საზოგადოებრიობამ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვლადივოსტოკში გამართული შეხვედრის შედეგები სამართლიანად შეაფასა როგორც დიდი წვლილი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში.

ამავე დროს, რა თქმა უნდა, შეუწყნარებელი სიბეცე იქნება, რომ სრულად არ გავითვალისწინოთ იმ გარკვეული წრეების საქმიანობა, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ მიღწეული შეთანხმება, დააჩქარონ გამალებული შეიარაღება, დაუბრუნდნენ დაძაბულობის გაძლიერების ტაქტიკას. ამ წრეებში, რომლებსაც ჯიუტად არა სურთ გამოიტანონ გაკვეთილები ისტორიიდან, დღემდე ცდილობენ იაზროვნონ წარსულის კატეგორიებით, ჯერ ისევ იმედოვნებენ უკუღმა შეაბრუნონ კაცობრიობა. ჩვენ გადაჭრით უკუვაგდებთ ცდებს, რომლებსაც ზოგიერთი საზღვარგარეთელი მოღვაწე, რომ დაძაბულობის შენელება გამოიყენონ ცალმხრივი უპირატესობათა მისაღებად ან ჩვენზე ზეგავლენის მოსახდენად, რისთვისაც იმასაც კი კადრულობენ, რომ აშკარად ერევიან შინასახელმწიფოებრივ სფეროში. სუვერენიტეტის საკითხები, ჩვენი საშინაო საქმეები არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება პოლიტიკური ვაჭრობის საგანი.

რა თქმა უნდა, დაძაბულობის შენელება, ხატოვნად რომ ვთქვათ, ორმხრივმოძრაობიანი გზაა. და მხარეთა კეთილ ნებაზე დაფუძნებულ ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებათა ძიება აუცილებელია ამა თუ იმ მოლაპარაკების მიმდინარეობის დროს. მაგრამ, ისევე როგორც მოძრაობის წესების უზუსტესი დაცვა საგზაო მაგისტრალზე უსაფრთხოების საწინდარია, საერთაშორისო ცხოვრების ნორმების განუხრელი დაცვა, უფლებებისა და ინტერესების ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთის საშინაო საქმეში ჩაურევლობა საერთაშორისო ურთიერთობის მაგისტრალებზე წარმატებით წინსვლის აუცილებელი პირობაა.

დაძაბულობის შენელების მტრები დროდადრო აშკარად გამოდიან მშვიდობისა და პროგრესის საქმის წინააღმდეგ. სწორედ მათს მეცადინეობას, მათს, უკაცრავად პასუხია, ზრუნვას, რომელიც უკეთესი გამოყენების ღირსია, უნდა უმადლოდეს მსოფლიო, რომ ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული ახლო აღმოსავლეთის კრიზისი, არ არის გამონახული კვიპროსის საკითხის სამართლიანი მოწესრიგების გზა, არ არის მიღწეული შეთანხმებანი თანამედროვეობის მთელი რიგი სხვა საერთაშორისო პრობლემებისა. მაგრამ, რა თქმა უნდა, და იყონ დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი — ეს ნებიან ეს კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები, ნატოელი მესვეურები თუ მაოისტები, რა დაბრკოლებებსაც უნდა აწყდებოდეს თავის გზაზე მშვიდობის საქმე, სწორედ პოზიტიური ცვლილებანი განსაზღვრავენ დღეს საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათს. ხალხთა მტკიცე მშვიდობის, უშიშროების პერსპექტივები სულ უფრო მკაფიო და რეალური ხდება.

მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის სასარგებლოდ საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევაში გადამწყვეტი როლი მიეკუთვნება სოციალისტურ თანამეგობრობას. სწორედ მოძმე სოციალისტური ქვეყნების მჭიდრო შეკავშირების, ჩვენი ერთობლივი ღონისძიებების თანმიმდევრული კოორდინაციის მეოხებით მივაღწიეთ უკანასკნელი წლების მანძილზე იმას, რომ ჩაგვექრო დაძაბულობის მთელი რიგი საშიში კერები, აღმოგვეფხვრა მეორე მსოფლიო ომის ნაშთები, გაგვეშალა ენერგიული მშვიდობიანი შეტევა მთელ საგარეოპოლიტიკურ ფრონტზე.

წლევანდელი წელი განსაკუთრებულია სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ცხოვრებაში. პოლონეთმა, ბულგარეთმა და რუმინეთმა აღნიშნეს ფაშისტური ტირანიისაგან განთავისუფლებისა და სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების 30 წლისთავი. 25 წელი შეუსრულდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — გერმანიის მიწაწყალზე პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს. ეს-ეს არის რესპუბლიკის გამოცხადების 50 წლისთავი დღესასწაულეს მონღოლეთის მშრომელებმა — ქვეყნისა, რომელიც მოკლე ისტორიულ ვადაში გადავიდა ფეოდალიზმიდან სოციალიზმზე და უდიდეს წარმატებებს მიაღწია ახალი ცხოვრების მშენებლობაში. და მოძმე სოციალისტური ქვეყნების ყოველი იუბილე მკაფიოდ მოწმობს არჩეული კურსისადმი ერთგულებას, მათი ხალხების უდიდეს წარმატებებს ამ გზაზე, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებას, სოციალიზმის ცხოველმყოფელ ძალას.

საიუბილეო ზეიმებმა ცხადყვეს სოციალისტური ქვეყნების დიდი მიღწევები სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, მათი სახელმწიფოებრიობის, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფაში, ძირეული ძვრები სოციალურ სტრუქტურაში. ისინი მკაფიოდ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ სოციალისტური თანამეგობრობის კიდევ მეტი შეკავშირების ტენდენცია უძლეველია და მტკიცედ იკვალავს გზას. სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ხალხთა ისეთი მჭიდრო და ყოველმხრივი თანამშრომლობა, როგორიც სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შეიქმნა. იუბილეებმა კვლავ გვიჩვენეს, რომ მოძმე სოციალისტური ქვეყნების მშრომელებს საბჭოთა კავშირთან და მის კომუნისტთა ლენინურ პარტიასთან ურთიერთობა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმისადმი ერთგულების შემოწმებად მიაჩნიათ.

ყოველივე ამისაგან მკვეთრად განსხვავდება ვითარება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, რომელმაც აგრეთვე ამას წინათ აღნიშნა თავისი საიუბილეო წლისთავი — დაარსების 25 წელი.

გულისტკივილით შეგვიძლია ვილაპარაკოთ დღეს იმ მდგომარეობაზე, რომელშიც ჩინეთი, ჩინელი ხალხი აღმოჩნდა მაოისტური ხელმძღვანელობის ნებით. ქვეყნის ეკონომიკა სერიოზულ სიძნელეებს განიცდის. უხეშად ირღვევა პარტიული მშენებლობის, სოციალისტური დემოკრატიის კანონიერების პრინციპები. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება შეცვლილია მაოიზმის სოციალ-შოვინისტური იდეებით.

საგარეო პოლიტიკის დარგში პეკინი ადგას დიდმპყრობელურ-შოვინისტურ კურსს, იჩემებს მსოფლიო ბატონობას. ჩინეთის ხელმძღვანელები აშკარად ახორციელებენ მსოფლიოში ... მწვავების ხაზს, გამოდიან სოციალისტური თანამეგობრობის წინააღმდეგ, ზიანს აყენებენ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. საქმემ ... ლი ხომალდივით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა სულ უფრო შორდება სოციალისტურ ... რებს.

საბჭოთა კავშირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობაში ახორციელებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ განუხრელ პრინციპულ პოლიტიკას. ჩვენი პოზიცია კვლავ უდრეკად მკაფიოდ არის დადასტურებული ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში საიუბილეო ზეიმზე, რომელიც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში გაიმართა. ჩვენ მტკიცედ ვამხილებთ მაოიზმის თეორიასა და პრაქტიკას და ამასთანავე ისე წარვმართავთ, რომ მოვაწესრიგოთ ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, აღვადგინოთ ნდობა და მეგობრობა ჩვენს ორ ხალხს შორის. ჩვენს წმიდათა წმიდა ინტერნაციონალურ მოვალეობად მიგვაჩნია.

ჩვენს წინაშე მდგომი პრობლემები როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში მრავალფეროვანი და რთულია. ჩვენი პარტია კვლავაც ძალღონეს დაუზოგავად მიმართავს საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის, უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის, სამართლიანობისა და პროგრესის გამარჯვებისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო!

ტაჯიკეთის მშრომელთა წარმატებანი ახალი საზოგადოები...

(დასასრული მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხთა მეგობრობა გამარჯვებათა წყარო

(დასასრული)

მეგობრობაში, მათი წვლილი სსრ კავშირის განვითარებასა და განმტკიცებაში ღირსეულად აღნიშნეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ. რესპუბლიკის დროშაზეა ლენინის ორდენი და ხალხთა მეგობრობის ორდენი. აღიარებულია რესპუბლიკაში შემავალი მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის დამსახურებანი — მის დროშაზეა აგრეთვე ლენინისა და ხალხთა მეგობრობის ორდენები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში საბჭოთა ტაჯიკეთის იუბილესთან დაკავშირებით შეჯამებულია სოციალიზმისაკენ ტაჯიკი ხალხის ისტორიული გზის შედეგები, დიდად არის შეფასებული რესპუბლიკის წვლილი ჩვენს საერთო საქმეში. დღეს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკას გადაეცემა კიდევ ერთ ორდენი — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

ნება მიბოძეთ წავიკითხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება.

(ამხანაგმა ნ. ვ. პოდგორნიმ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ტაჯიკეთის სსრ ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ და სხდომის მონაწილეთა ტაშის გრიალში ორდენი მიამაგრა რესპუბლიკის დროშას).

ძვირფასო ამხანაგებო!

გადმოგცემთ რა დღეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენს, გულითადად ვულოცავ რესპუბლიკის მშრომელებს სამშობლოს მაღალ ჯილდოს. ნება მიბოძეთ ამ დარბაზში დამსწრეთ, საბჭოთა ტაჯიკეთის ყველა მშრომელს ვუსურვო ახალი წარმატებანი, ჯანმრთელობა და ბედნიერება. დაე, თქვენი აყვავებული მხარე კიდევ უფრო მდიდარი და კიდევ უფრო ლამაზი გახდეს!

გაუმარჯოს სამგზის ორდენოსან ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ჩვენს ერთიან მრავალეროვან სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, დიდი ლენინის პარტიას — საბჭოთა ხალხის მებრძოლ, ნაცად ავანგარდს!

(ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვის დროს არაერთგზის გაისმოდა ხანგრძლივი ტაში).

• • •

მოხსენება ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ტაჯიკეთის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის შესახებ გააკეთა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. რასულოვმა.

ტაჯიკი ხალხი აღსავსეა უდიდესი სიხარულითა და სიამაყით, თქვა მან. რესპუბლიკის დროშაზე ლენინის ორდენისა და ხალხთა მეგობრობის ორდენის გვერდით კიაფობს ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

ყველამ უდიდესი მადლობის გრძნობით აღვიქვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჩვენი რესპუბლიკის დაჯილდოების შესახებ.

ყოველ ჩვენგანს ღრმად ჩასწვდა გულში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მისალმება და მოლოცვა, რომელიც გადმოგვცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ. გთხოვთ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს გადასცეთ ჩვენი უმხურვალესი მადლობა დღესასწაულის მოლოცვისათვის და უსურვოთ ტაჯიკეთის კომუნისტთა, ყველა მშრომელის სახელით ჯანმრთელობა, უშრეტი, მჩქეფარე ენერგია, მრავალი წლის ნაყოფიერი შრომა, დაუცხრომელი მოღვაწეობა ესოდენ საპატიო და პასუხსაგებ პოსტზე ქვეყნად მშვიდობისა და ბედნიერების განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ნება მიბოძეთ ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით მხურვალე მადლობა გადავუხადო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის წარმატებათა ესოდენ მაღალი შეფასებისათვის, გულითადი მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის.

რესპუბლიკის ნახევარი საუკუნის იუბილეს რომ აღნიშნავს, ყველა მშრომელს მკაფიოდ აქვს შეგნებული, რომ თავის დაბადებასა და ნამდვილ აყვავებას საბჭოთა ტაჯიკეთი უნდა უმადლოდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, რუსეთის პროლეტარიატისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გმირობას. აღმართეს რა თავისუფლების დროშა მეფის თვითმპყრობელობის ნამსხვრევებზე, მათ ქვეყნის ჩაგრული ხალხები დარაზმეს ძველი სამყაროს უმაგალითო შტურმისათვის. შეადუღაბეს ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობა, რომლებიც ამჟამად საერთო-სახალხო მწყობრში იკვლევენ გზას კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა ტაჯიკეთი თავის 50 წლისთავს მატერიალური და სულიერი ძალებით აღსავსე ეგებება, თქვა შემდეგ ჯ. რასულოვმა. ტაჯიკეთის ეკონომიკა ჩვენი ქვეყნის ერთიანი ურთიერთდაკავშირებული სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განუყოფელი ნაწილია და ვითარდება ერთიანი სახელმწიფო გეგმით, რომელიც ითვალისწინებს ყველა რესპუბლიკისა და მთლიანად ქვეყნის ინტერესებს. ეს მიგვაჩნია ყველა ჩვენი წარმატების საწინდრად.

მიმდინარე წელს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1924 წელთან შედარებით 545-ჯერ გაიზრდება. მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის წილად მოდის მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის დაახლოებით 57 პროცენტი.

რესპუბლიკაში შექმნილია მძლავრი ენერგეტიკული ბაზა. მიმდინარე წელს წარმოებული იქნება დაახლოებით 4 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

კაპიტალური მშენებლობის მზარდი მასშტაბი განუწყვეტლივ ცვლის რესპუბლიკის სახეს. წლითი წლობით იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი ქალაქები, მუშათა დაბები, სოფლის დასახლებული პუნქტები. რესპუბლიკის შექმნის წელს დუშანბე იყო პატარა ყიშლაღი, სადაც ხუთასამდე კაცი ცხოვრობდა. ახლა ეს არის თანამედროვე ქალაქი, სადაც თითქმის 450 ათასი კაცი ცხოვრობს. მისი მრეწველობა წელიწადში უშვებს 700 მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქციას.

ამჟამად ხორციელდება სამხრეთ ტაჯიკეთის სიმდიდრეთა ათვისების პირველი ეტაპი, სადაც იქმნება მძლავრი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი. მისი ენერგეტიკული გული — 2,7 მილიონი კილოვატი სიმძლავრის ნურეკის ჰიდროელექტროსადგური. მისი პირველი სამი აგრეგატი, აგრეთვე სარწყავი მიწათმოქმედების პირობებში ფასდაუდებელი წყალი, რომელიც დაგროვილია ნურეკის ზღვაში, უკვე მუშაობს კომუნიზმისათვის. აშენდა და მოქმედებს ვახშის აზოტიანი სასუქის ქარხანა. სადაც დამთავრდება ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი რეგარის ალუმინის ქარხნის მშენებლობა. დაიწყო იავანის ელექტროქიმიური კომბინატის მშენებლობა. მთელი ძალით მიმდინარეობს თერმეზ-კურგან-ტიუბე-იავანის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც თითქმის 300 კილომეტრი სიგრძისაა.

უდიდესი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები მოხდა სოფლად. რესპუბლიკა სარწყავი არხების ქსელით დაიფარა. სარწყავი მიწების ფართობები წლითი წლობით იზრდება და შარშან 543 ათასი ჰექტარი შეადგინა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი სამუშაოები განხორციელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმის შემდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით რვაჯერ გაიზარდა, ხოლო რესპუბლიკის ძირითადი სიმდიდრის — ხამი ბამბის წარმოება — 26-ჯერ.

მეცხრე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე წარმოებულია 3 მილიონ 200 ათას ტონაზე მეტი ხამი ბამბა, ანუ თითქმის 28 პროცენტით მეტი, ვიდრე მერვე ხუთწლედის შესაბამის პერიოდში. გაიზარდა სოფლის მეურნეობის სხვა დარგების პროდუქციის წარმოება.

სოციალისტური ეკონომიკის განვითარებასთან ერთად განუწყვეტლივ მაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონე.

დიდი წარმატებანია მოპოვებული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ტაჯიკეთს აქვს თავისი მეცნიერებათა აკადემია, ჰყავს მეცნიერ-მუშაკთა დიდი რაზმი, მათ შორის ორიათასამდე მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი; მუშაობს 9 უმაღლესი სასწავლებელი, 39 საშუალო სპეციალური სასწავლებელი. ახლა რესპუბლიკის ყოველი მესამე მცხოვრები სწავლობს.

სოციალიზმის დიადი მონაპოვარია ტაჯიკი ქალის განთავისუფლება, მისი აქტიური მონაწილეობა კომუნისტურ მშენებლობაში.

რესპუბლიკის მშრომელებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, გონებითა და გულით ესმით, რომ კომუნისტურ მშენებლობაში მათი წარმატებების საწინდარია პარტიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობა, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ანდერძის, ხალხთა მეგობრობისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების ერთგულება, მზადყოფნა, რომ დაეხმარონ ერთმანეთს, ერთად იარონ დიადი მიზნისაკენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ტაჯიკეთის კომუნისტები, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, ამაყობენ და დიდად აფასებენ, რომ ეკუთვნიან ლენინის დიად პარტიას, რომლის რევოლუციურ საქმიანობასთან დაკავშირებულია ჩვენი ხალხის, რესპუბლიკის ბედი. პარტიული ორგანიზაციის გმირული საქმეებისა და გამარჯვებების ნახევარი საუკუნის მატიანე. ტაჯიკეთის პარტიული ორგანიზაცია ახლა მონოლითური ინტერნაციონალური რაზმია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 93 ათასზე მეტ კომუნისტს.

ტაჯიკეთის კომპარტია, რომელიც ხელმძღვანელობს პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, მასებს რაზმავს მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, განაგრძო მომხსენებელმა. მრეწველობამ ვადამდე შეასრულა თერთმეტი თვის პროგრამა. მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებულია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა პროდუქტის წარმოებისა და დამზადების გეგმები და ვალდებულებანი. განსაკუთრებით დიდი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენმა მებამბეებმა. სახელმწიფოს მიეყიდა 870 ათასი ტონა ხამი ბამბა, აქედან 270 ათასი ტონა უძვირფასესი ნაზბოჭკოიანი ჯიშისა. ამდენი ბამბა რესპუბლიკაში პირველად მოკრიფეს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომლებმაც მხურვალედ მიულოცეს მებამბეებს შესანიშნავი შრომითი გამარჯვება, მიაჩნიათ, რომ ეს არის მნიშვნელოვანი წვლილი საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების საქმეში.

ქვეყნად მშვიდობისათვის განუხრელი მისწრაფება ჩვენი პარტიის საგარეო პოლიტიკის პრინციპული ხანგრძლივი ხაზია, აღნიშნა მომხსენებელმა. ზავის შესახებ ლენინური დეკრეტიდან სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებულ მშვიდობის პროგრამამდე — ასეთია მისი განვითარება. ამ პროგრამის შესრულებისათვის დაუცხრომელ ბრძოლას სულ უფრო ნაყოფიერი შედეგები მოაქვს.

ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რა გიგანტურ მუშაობას ეწევიან ამ მიმართულებით ჩვენი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, მშვიდობისათვის მგზნებარე და დაუცხრომელი მებრძოლი.

ტაჯიკეთის კომუნისტები, ყველა მშრომელი, რომლებიც დღეს ნახევარსაუკუნოვანი გზის შედეგებს აჯამებენ, თქვა დასასრულ ამხ. ჯ. რასულოვმა, დიდი რწმენით შეჰყურებენ მომავალს, აღუთქვამენ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კვლავაც მაღლა აპყრობენ დიდი ოქტომბრის დროშას, უფრო მჭიდროდ შეაკავშირებენ თავიანთ რიგებს მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მთელ თავიანთ ძალ-ღონესა და ენერგიას მოახმარენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

ამხანაგ ჯ. რასულოვის მოხსენების დროს ბევრჯერ გაისმოდა ტაში.

ტაჯიკეთის სსრ მშრომელებს სახელოვანი იუბილე და სამშობლოს მაღალი ჯილდო გულითადად მიულოცეს ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა ხელმძღვანელებმა.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმაფრენით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ რ. ნაბიევმა. მან გულითადი მადლობა გადაუხადა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს მაღალი ჯილდოსათვის, რომელიც რესპუბლიკას მიენიჭა და აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ რესპუბლიკის მშრომელები პარტიის, სახელმწიფოს განუწყვეტელი ზრუნვისა და ყურადღების პასუხად გაამრავლებენ თავიანთ წვლილს სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებაში.

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. მისი მონაწილენი აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს". დარბაზში გაისმის შეძახილები დიადი ლენინური პარტიის, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ცხოველმყოფელი მეგობრობის სადიდებლად.

• • •

საღამოს საზეიმო სხდომის მონაწილეებისათვის გაიმართა რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. კონცერტს დაესწრნენ ამხანაგი ნ. ვ. პოდგორნი, ტაჯიკეთის სსრ ხელმძღვანელები, ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა მეთაურები.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. (საქდესი).

იუგოსლავიის მშრომელთა დღესასწაული

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები 29 ნოემბერს შეკრიბნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სახლში, რათა აღენიშნათ ღირსშესანიშნავი თარიღი — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული — რესპუბლიკის დღე.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. თითმერიძემ.

მოხსენება გააკეთა უნივერსიტეტის დოცენტმა ნ. ნაჭყებიამ.

ელექტროვაგონმშენებელი ქარხნის ხარატმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ჯ. გაჩეჩილაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა დ. თორაძემ, უნივერსიტეტის სტუდენტმა ნ. დავლამერიძემ თქვეს, რომ საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ურთიერთობა ღრმავდება და მტკიცდება.

კრების მონაწილეებმა მისალმებანი გაუგზავნეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს და თბილისის დამმობილებულ ლუბლიანაში — სლოვენიის კომუნისტთა კავშირის საქალაქო კომიტეტსა და საქალაქო სკუპშჩინის პრეზიდიუმს.

(საქინფორმი).

„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

◆

მთის სოფლის სატკივარი

რედაქციას უპასუხეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ასეთი სათაური ჰქონდა 31 ოქტომბერს „კომუნისტში" დაბეჭდილ წერილს. ამის გამო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. დ. ხიჯურაძე რედაქციას აცნობებს:

სამინისტრომ განიხილა წერილში აღძრული საკითხები და საქმის გადასაწყვეტად დასახა ღონისძიებები. მათ შორის: ქ. ტყიბულის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დაევალა დახმარება გაუწიოს სოფელ კისორეთის კოლმეურნეობას წყლის სადენის მშენებლობის ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენაში, იგი გაითვალისწინოს საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საიჯარო სამუშაოების გეგმაში და უზრუნველყოფილ იქნას საჭირო მასალების გამოყოფა და მშენებლობის განხორციელება.

მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ, 1975 წელს ტყიბულის კოლმეურნეობებში დაგეგმილია კულტ.-ტექნიკური სამუშაოები 800 ჰექტარზე. ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა 49 ათასი მანეთი. იმ შემთხვევაში, როცა გადაჭარბებით შესრულდება დაწესებული გეგმა, სამინისტრო დამატებით გამოყოფს ფულად სახსრებს. კისორეთის კოლმეურნეობას დახმარება გაეწევა სამშენებლო თეთრი ქვის კარიერის საწარმოს მოწყობაში.

□

ბუნების მტრები

რედაქციას უპასუხეს მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომი

ბრაკონიერთა ავი საქმეები იყო მხილებული წერილში „ბუნების მტრები", რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. ამის გამო მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ბიძინაშვილი რედაქციას წერს:

აღნიშნული სტატიის შესახებ იმსჯელა რაისაბჭოს აღმასკომმა. ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

აღმასკომმა საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომებს დაავალა გააძლიერონ კონტროლი თავიანთ ტერიტორიაზე სამონადირეო წესების დაცვისადმი, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები, აქტივი, მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებას დაევალა ბრაკონიერების გამოვლინების ყოველი შემთხვევა აცნობოს ადმინისტრაციულ ორგანოებს და დამრღვევი პირების შესახებ შეატყობინოს შესაბამის კოლექტივებს საერთო მსჯელობისათვის.

სოფელ ნაგომარში მომხდარი ფაქტის გამო, რომელსაც მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი, საკითხი განხილულ იქნა რაიკომის ბიუროზე. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. უჩმაჯურიძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

გ. აბაშიძე, ვ. გუჯაბიძე, ა. კუტუბიძე, რომლებიც დაკავებული იქნენ გომის მთის ტერიტორიაზე არჩვზე ნადირობისას, გარიცხნენ მონადირეთა საზოგადოების რიგებიდან, ჩამოერთვათ სანადირო იარაღები და თვითეულ მათგანს დაეკისრა 30-30 მანეთით. სოფელ ნატანებში მცხოვრები გ. ჩხარტიშვილის, მ. ქარჩავას და ძმები კაპანაძეების საქმე საგამოძიებლო ორგანოებს გადაეცა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამწმენდი ნაგებობების პროექტის შედგენის დაჩქარება და მისი 1976 წლის მშენებლობის გეგმაში გათვალისწინება ეთხოვა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს.

შექმნილია კომისია, რომელიც შეისწავლის ბუნების დაცვის საკითხებს.

ამბები • ფაქტები

მსოფლიო დღეს

საქდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

დიდი ინტერესით

საფრანგეთი მიესალმება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს

პარიზი, 28 ნოემბერი. (საქდესის კორ.). საფრანგეთის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ეკიდება მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში საფრანგეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ ვიზიტს, განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის" საპრეზიდენტო საბჭოს წევრმა რაიმონ მარკიემ.

ბოლო წლები აღინიშნა საერთაშორისო ვითარების არსებითი გაჯანსაღებით, ძვრებით დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობისაკენ, თქვა მან. მსოფლიო ასპარეზზე ეს კეთილსაყოფიერო ცვლილებები მნიშვნელოვან წილად იმის შედეგია, რომ დაუცხრომლად და მიზანმიმართულად მოქმედებს საბჭოთა კავშირი, რომელიც ყოველნაირად უწყობს ხელს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას.

ამას ადასტურებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის სამუშაო შეხვედრა ვლადივოსტოკის რაიონში. ამ შეხვედრის დროს, განაგრძო რ. მარკიემ, ორივე სახელმწიფო მოღვაწემ ხელი შეუწყო იმას, რომ შემცირდეს ატომური კონფლიქტის საფრთხე, რომ ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კონტინენტზე ადამიანებს შეეძლოთ მშვიდად მუშაობა, რომ ატომური აფეთქების ჩრდილი არ წამლავდეს ჩვენი შვილების მომავალს.

მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის საბჭოთა კავშირის დაუცხრომელ საქმიანობას ფართოდ უჭერს მხარს საფრანგეთის საზოგადოებრიობა. საფრანგეთში ყველგან უდიდეს და სულ უფრო მზარდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისადმი, მისი საგარეო პოლიტიკისადმი, გამოთქვამენ დიდ დაინტერესებას ორი ქვეყნის თანამშრომლობის განმტკიცებით. სწორედ მიტომ, განაცხადა დასასრულ რაიმონ მარკიემ, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ საფრანგეთში ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტი და საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე არა მარტო ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას, არამედ აგრეთვე კეთილსაყოფიერ გავლენას მოახდენს ევროპასა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების პროცესის დაჩქარებაზე, ჩვენს კონტინენტსა და მთლიანად საერთაშორისო ასპარეზზე უშიშროების განმტკიცებაზე.

ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

ბუქარესტი, 28 ნოემბერი. (საქდესის კორ.). დღეს რუმინეთის კომუნისტური პარტიის მე-11 ყრილობის დილის პლენარულ სხდომაზე დამთავრდა დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა მოხსენება პარტიის მე-10 და მე-11 ყრილობებს შორის რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ და ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება, მიიღო რუმინეთის კომპარტიის პროგრამა. დამტკიცებულია რუმინეთის კომპარტიის მე-11 ყრილობის დირექტივები 1976-1980 წლების ხუთწლიანი გეგმისა და 1990 წლამდე რესპუბლიკის განვითარების მთავარ მიმართულებათა შესახებ. მიღებულია ცვლილებანი რუმინეთის კომპარტიის წესდებაში.

ყრილობაზე განსახილველად წარდგენილი სოციალისტური ეთიკის ნორმების პროექტს დაუჭირეს სამუშაო წესით მიღებული მრავალრიცხოვანი წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით.

შემდეგ ყრილობაზე გაიმართა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოების არჩევნები.

ყრილობის დასკვნით სხდომაზე გამოაცხადეს, რომ რუმინეთის კომპარტიის გენერალურ მდივნად არჩეულია ნიკოლაე ჩაუშესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულია ცენტრალური კომიტეტის 205 წევრი და 156 წევრობის კანდიდატი. არჩეულია აგრეთვე ცენტრალური სარევიზიო კომისია.

გაიმართა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური აღმასრულებელი კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და ცენტრალური პარტიული კოლეგია. პოლიტაღმასკომის შემადგენლობაშია 23 წევრი და 15 კანდიდატი. არჩეულია აგრეთვე ცენტრალური სარევიზიო კომისია.

ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ.

ეთიოპიის ამბების გამო

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა ეთიოპიის დროებით სამხედრო ადმინისტრაციულ კომიტეტს შეაჩეროს წინანდელი რეჟიმის მოღვაწეთა სიკვდილით დასჯა და სიცოცხლე შეუნარჩუნოს დაპატიმრებულთ, მათ შორის დამხობილ იმპერატორ ჰაილე სელასიეს.

ადის-აბება, 28 ნოემბერი. (საქდესი). ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული კომიტეტის წარმომადგენელმა კატეგორიულად უარყო ცნობა ჰაილე სელასიეს მოსალოდნელი სიკვდილით დასჯის შესახებ. ყოფილი იმპერატორი, თქვა მან, კვლავინდებურად იმყოფება ადის-აბებაში და მას დაწესებული აქვს დაცვა „მისი პირადი უშიშროებისათვის".

ამერიკა-ჩინეთის მოლაპარაკება

ტოკიო, 28 ნოემბერი. (საქდესი). აქაური პრესა, რომელიც იმოწმებს ინფორმირებულ წრეებს, განმარტავს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰ. კისინჯერის ვიზიტს პეკინში და წერს: ჩინეთში კისინჯერის ახლანდელი ვიზიტის მიზანი ის არის, რომ მოსინჯოს ჩინეთის კურსი „მაო ძე-დუნისა და ჩოუ ენ-ლაის შემდეგ". კისინჯერს, აღნიშნავს გაზეთი „ასაჰი", აინტერესებს თუ რა პოზიცია დაიკავებს მომავალში ჩინეთი სსრ კავშირის მიმართ.

იგივე გაზეთი ბეჭდავს თავისი პეკინელი კორესპონდენტის ინფორმაციას, რომელიც იმოწმებს საქმეში ჩახედულ ადგილობრივ წრეებს და წერს, რომ კისინჯერისა და ჩინეთის ხელმძღვანელთა მოლაპარაკებაზე ორივე მხარემ განიხილა ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობის მდგომარეობა, მეცნიერულ-ტექნიკური გაცვლის პრობლემები, აგრეთვე საგარეო მიმოსვლის საკითხი.

იორდანია

იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილში გაიმართა არაბი მოსახლეობის მასობრივი დემონსტრაციები. ათასობით არაბი მცხოვრები გამოვიდა ქუჩებში, რათა პროტესტი გამოეთქვათ ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლების თარეშისა და ძალადობის წინააღმდეგ.

დემონსტრანტების დასარბევად გამოიყვანეს პოლიცია და ჯარის ნაწილები. შეტაკების შედეგად რამდენიმე კაცი დაიჭრა. 100-ზე მეტი არაბი დაპატიმრებულია.

ეს ყველაზე უდიდესი მღელვარება იყო 1967 წლიდან, მას შემდეგ, რაც ისრაელმა აგრესორებმა დაიპყრეს იერუსალიმის არაბული ნაწილი.

სურათზე: ისრაელი ჯარისკაცები აპატიმრებენ დემონსტრაციის მონაწილეს.

იუპი-საქდესის ფოტო.

29 ნოემბერი

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

ლიბანის პარლამენტში

● **ბეირუთი.** (საქდესი). ლიბანის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიამ გადაჭრით დაგმო ამერიკის ხელისუფალთა თვითნებობა ლიბანის დელეგაციის მიმართ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგ სესიაზე მონაწილეობდა პალესტინის პრობლემის განხილვაში. ამერიკის მებაჟეებმა და პოლიციამ დაარღვიეს დელეგაციის დიპლომატიური იმუნიტეტი და გაჩხრიკეს მისი ბარგი.

ამ ინციდენტის განხილვის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდა ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. ტაკლა, საგარეო საქმეთა კომისიამ მიიღო რეზოლუცია, სადაც ხაზგასმულია, რომ ამგვარი აქციები ყველა ლიბანელის ღირსების შებღალვაა.

ინგლისის თემთა პალატაში

● **ლონდონი.** (საქდესი). საგარეო და ერთა თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მინისტრი დევიდ ენალზი მიესალმა შეთანხმებას სტრატეგიული ატომური შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა მიაღწიეს კვირის დამლევს ვლადივოსტოკში გამართულ შეხვედრაზე.

უპასუხა რა კითხვებზე თემთა პალატაში, ენალზმა თქვა, რომ ინგლისის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ატომური შეიარაღების შეზღუდვას.

გადაუნერგეს გული

● **ლუსაკა.** (საქდესი). კეიპტაუნიდან მიღებული ცნობებით განთქმულმა სამხრეთაფრიკელმა ქირურგმა კრისტიან ბერნარდმა კეიპტაუნის „გრუტე სხაურის" ჰოსპიტალში გააკეთა გულის გადანერგვის ახალი ოპერაცია.

უბედური შემთხვევის დროს სასიკვდილოდ დაშავებულ ათი წლის გოგონას გული გადაუნერგეს 58 წლის ავადმყოფს. ქ. ბერნარდის წინა ოპერაციებისაგან განსხვავებით ავადმყოფის გული არ ამოუღიათ და იგი განაგრძობს გადანერგილ გულთან ერთად სინქრონულ მუშაობას.

როგორც „გრუტე სხაურის" ჰოსპიტლის წარმომადგენელმა განაცხადა, დამაკმაყოფილებელია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა. მის ვინაობას არ იტყობინებიან.

მიტინგი ნურეკის ჰიდროელექტროსადგურში

ნურეკი, (ტაჯიკეთის სსრ), 28 ნოემბერი. (საქდესი). ნურეკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში მთელი ქვეყანა მონაწილეობს. აქ შრომობენ ვოლგისა და დნეპრის, ენისეისა და ანგარის ნაპირებიდან ჩამოსული ჰიდრომშენებლები, მოწყობილობას სადგურისათვის ამზადებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ათობით ქარხანა.

დღეს ნურეკში გაიმართა მეგობრობის მიტინგი. შეკრებილნი გულთბილად და გულითადად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ვ. პოდგორნიმ.

ნ. ჩაუშესკუსა და ა. პ. კირილენკოს შეხვედრა

ბუქარესტი, 29 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ჩაუშესკუმ გუშინ მიიღო რუმინეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობაზე ჩამოსული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება რუმინეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სოციალისტური რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საკითხებზე. შეეხნენ ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებს.

შეხვედრამ გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

მეგობრობის განმტკიცებაში დამსახურებისათვის

ბუქარესტი. 29 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირთან რუმინეთის მეგობრული ურთიერთობის საზოგადოება დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ორდენით. ეს ჯილდო მას მიენიჭა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებასა და განვითარებაში დამსახურებისათვის. დღეს ბუქარესტში გაიმართა ამ მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ორდენის გადაცემის საზეიმო ცერემონია.

ა. ა. გრომიკო შეხვდა ი. არაფატს

28 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარე იასირ არაფატი, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

შეხვედრა გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საპატიო წოდებების „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტისა" და „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" მინიჭების შესახებ

პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ჟურნალების „მნათობის", „საქართველოს ქალისა" და „დროშის" ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდებანი:

საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტისა:

ბახტაძეს გულნარა ვლადიმერის ასულს — ჟურნალ „დროშის" განყოფილების გამგეს

კაკაბაძეს ლია ვლადიმერის ასულს — ჟურნალ „საქართველოს ქალის" განყოფილების გამგეს

გოგოლაძეს თენგიზ გიორგის-ძეს — ჟურნალ „დროშის" პასუხისმგებელ მდივანს

კომახიძეს ლალი დავითის ასულს — ჟურნალ „მნათობის" კორექტორს

მახარაძეს ქსენია იონას ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის მუშას

რუხაძეს ნოდარ დომენტის-ძეს — ჟურნალ „მნათობის" განყოფილების გამგეს

ხეფიაშვილს დავით ალექსანდრეს-ძეს — ჟურნალ „დროშის" ტექნიკურ რედაქტორს

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა:

აგიაშვილს მარიამ ილიას ასულს — ჟურნალ „მნათობის" უფროს ლიტმუშაკს

ანდღულაძეს თამარ ლუკას ასულს — ჟურნალ „მნათობის" განყოფილების გამგეს

ჩაკვეტაძეს რუსუდან ასკალონის ასულს — ჟურნალ „მნათობის" ტექნიკურ რედაქტორს

ხიზანიშვილს ელენე პეტრეს ასულს — ჟურნალ „მნათობის" კორექტორს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1974 წლის 29 ნოემბერი.

ოქტომბრის ჯარისკაცი

ა. ი. ჯიქიას დაბადების 80 წლისთავისათვის

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ავთანდილ იორდანის-ძე ჯიქია დაიბადა 1894 წლის 26 ნოემბერს ზუგდიდის მაზრის სოფელ ჩაქვინჯაში ღარიბი გლეხის ოჯახში. ქალაქ ზუგდიდის 6-კლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თოთხმეტი წლის ავთანდილი იწყებს შრომით საქმიანობას — ჯერ მუშაობს ფოსტალიონად, შემდეგ კი, სპეციალური კურსების დამთავრებისთანავე, — ტელეგრაფისტად.

1915 წელს ა. ჯიქია მეფის არმიაში გაიწვიეს. იგი ჯერ ქალაქ სამარაში, შემდეგ კი პეტროგრადის ელექტროტექნიკურ ქვედანაყოფში მსახურობს. იქიდან მას მალე გზავნიან პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე. იმავე წლის ზამთარში ა. ჯიქია ჩაირიცხა ქალაქ ვიბორგის სიმაგრის სატელეგრაფო ასეულში რიგით მექავშირედ. ასეული ძირითადად ყოფილი მუშებისაგან შედგებოდა. იგი ცხოვრებისა და პოლიტიკური დაუძლავების ნამდვილი სკოლა გახდა ა. ჯიქიასათვის — აქ ჩამოყალიბდა იგი რევოლუციური სულისკვეთებით.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, როცა შეიქმნა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები და ჯარისკაცთა სასამართლოები, ა. ჯიქია ასეულის სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 1917 წლის ივნისში ქალაქ ვიბორგის სიმაგრის გარნიზონის პარტიულმა ორგანიზაციამ ა. ჯიქია ბოლშევიკური პარტიის რიგებში მიიღო. აგვისტოში იგი აქტიურად მონაწილეობდა ვიბორგის გარნიზონის შეიარაღებულ აჯანყებაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა დღეებში პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის განკარგულებით ქალაქ ვიბორგის სიმაგრეში მდგომი სატელეგრაფო ასეული, რომელშიც ა. ჯიქია ირიცხებოდა, პეტროგრადის ფინეთის ვაგზალში გაიგზავნა. მას ცენტრალური სატელეგრაფო სადგურის მომსახურება დაევალა. ერთ-ერთ სპეციალურ ქვეგანაყოფს, რომლის უფროსის მოადგილედ ა. ჯიქია დაინიშნა, მთავარი სატელეგრაფო ხაზების დაცვა და მომსახურება დაეკისრა. ამ დროიდან ა. ჯიქია პეტროგრადის წითელი გვარდიის რიგებშია და უშუალოდ მონაწილეობს დროებითი მთავრობის დამხობასა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. იუნკრებსა და თეთრგვარდიელებს არაერთხელ უცდიათ ხელთ იგდოთ სატელეგრაფო სადგური, და ა. ჯიქია სხვა ჯარისკაცებთან ერთად იარაღით ხელში იგერიებდა მათს თავდასხმებს. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებში ა. ჯიქიას წილად ხვდა ბედნიერება მოესმინა ვლადიმერ ილიას-ძის გამოსვლა.

1918 წლის მარტში მძიმე ავადმყოფობის გამო ა. ჯიქია დემობილიზებულ იქნა წითელი არმიიდან და დაბრუნდა მშობლიურ სოფელ ჩაქვინჯაში. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი მაშინვე აქტიურად ჩაება არალეგალურ მუშაობაში, ავრცელებდა პროკლამაციებსა და სხვა ბოლშევიკურ ლიტერატურას. ზუგდიდის რაიონის მთელ რიგ სოფლებში მან ჩამოაყალიბა ბოლშევიკური უჯრედები და პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა. ა. ჯიქიას მენშევიკური ხელისუფალნი დევნიდნენ, რის გამოც იგი იძულებული გახდა ფოთში გადასულიყო. აქ, ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაში, იგი შეიპყრეს და, როგორც სამხედრო ვალდებული, ბათუმში მდგომ მენშევიკური ჯარის ნაწილებში გაგზავნეს, მაგრამ მალე იგი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და გააჩაღა რევოლუციური მუშაობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ა. ჯიქიას ეკავა მთელი რიგი პასუხსაგები პარტიული და სამეურნეო პოსტები. იგი იყო პარტიის ახალი ხიბულის რაიკომის მდივანი, ზუგდიდის მუშათა და გლეხთა საკონტროლო და პარტიის რიგების გამწმენდი კომისიების თავმჯდომარე, ჩხოროწყუს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე, ა. ჯიქია არჩეული იყო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრად და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. ა. ჯიქია დიდი სამამულო ომის მონაწილეა. პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს მისი დამსახურება — იგი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენითა და ბევრი მედლით.

ამჟამად ა. ჯიქია პერსონალური პენსიონერია და ქალაქ სოხუმში დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. იგი არის საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრი, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტთან არსებული კომუნისტ ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

ე. ქურციკიძე,
(საქინფორმი).

„კომუნისტის" ფოტოკონკურსზე

ძველი თბილისის მოტივები: „ეტიუდებზე", „ფარანი".

ა. ხააპოვის ფოტო.



მწყემსის მადლობა

ამას წინათ ყაზბეგის ცხოველმზადების რაიკანტორის მიერ სახელმწიფოსათვის შესყიდულ ცხვრის ფარას დედაქალაქში ჩასაბარებლად მივერეკებოდით. გზა ძალზე მომქანცველი და ძნელი იყო. ძალიან ვფრთხილობდი, მაგრამ ადგილზე მისვლისას გამოირკვა, რომ 15 ყოჩი დაგვკარგოდა. მეტი რა გზა გვქონდა, ავდექით და მე და ვ. ეფხოშვილი, ჩემი მგზავრობის ამხანაგი, ისევ ფეხით უკან დავბრუნდით.

წარმოიდგინეთ ჩვენი სიხარული, როცა დუშეთის რაიონის სოფელ ზემობულაჩაურში მისვლისას გავიგეთ, ჩვენი დაკარგული ცხვრები ამავე სოფელში მცხოვრებ ზაქარია გიორგის-ძე პაპკიაურს უპოვიაო. ეს ამბავი მას ერთდროულად უცნობებია სასოფლო საბჭოს დეპუტატ ვ. ქავთარაძისა და მილიციისათვის, რომლებმაც პატრონის გამოჩენამდე ცხვარი მახვე ჩააბარეს შესანახავად.

კეთილმა ადამიანმა ზ. პაპკიაურმა გაჭირვებისაგან გვიხსნა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ა. ჩოფიკაშვილი.

შემთხვევა

ტყე დაწვას გადაარჩინეს

ტყიბული, 29 ნოემბერი. (საქინფორმის კორ.). ლენინის სახელობის შახტის მეზობლად მდებარე ტყეს ხანძარი გაუჩნდა. ეს შენიშნა ამ შახტის ვენტილაციის ცვლის უფროსმა ა. ჩაკვეტაძემ და სათანადო ზომები მიიღო ხანძრის კერის ლიკვიდაციისათვის. მალე მოვიდა სახანძრო რაზმი გ. ბაკურაძის ხელმძღვანელობით.

ორ დღეს გრძელდებოდა ცეცხლთან ბრძოლა. მეხანძრეების კ. ხარატიშვილის, რ. ბოჭორიშვილის, გ. ქურციკიძის, ა. ბოჭორიშვილის, ი. მაღლოვისა და ი. ცირეკიძის წყალობით ტყე გადარჩა. ხანძრის ჩაქრობაში თავი გამოიჩინეს აგრეთვე ქალაქ ჭიათურის № 19 პროფტექსასწავლებლის მოსწავლეებმა ზ. გიორგაძემ, მ. ბოჭორიშვილმა, თ. ბუაძემ და შ. მაკარიძემ.

ხალხის სიყვარული

შალვა დადიანის ხსოვნის საღამო

ცხაკაია. („კომუნისტის" საკ. კორ. ბ. მილიუტინი). წლეულს საქართველოს მშრომელები და ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა აღნიშნავენ გამოჩენილი ქართველი მწერლის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის შალვა დადიანის დაბადების მე-100 წლისთავს.

საიუბილეო ზეიმის თავისებური დასაწყისი იყო დიდი საღამო, რომელიც მწერლის მშობლიური რაიონის საზოგადოებრიობამ მოაწყო. საღამოს ესწრებოდნენ თბილისიდან და მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები.

შალვა დადიანის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესვანჯიამ. შალვა დადიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოვიდა რაიონულ გაზეთ „კოლხეთის" რედაქტორი ბ. შენგელია. ცნობილი მწერლის და ხელოვანის შესახებ ილაპარაკეს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა თ. ლაშქარავამ და ლ. ჯიქიძემ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. კობახიძემ, რეჟისორმა შ. მჟავანაძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტმა, ნოსირის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. თორდიამ. ლექსები წაიკითხეს პოეტებმა რ. მარგიანმა, ალ. შენგელიამ, კ. კალაძემ, ნ. ჯალაღონიამ.

დასასრულ ნაჩვენები იქნა რაიონის სახალხო თეატრის სპექტაკლი — შ. დადიანის ცნობილი პიესის „გეგეჭკორის" პრემიერა.

გეპატიჟებით საქართველოში

წიგნის თარო

დღეს, მასობრივი ტურიზმის ფართოდ განვითარების პერიოდში, როცა ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად ათასობით ტურისტი და სტუმარი ჩამოდის როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, ისე საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყნიდან, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა და ღირებულება აქვს საცნობარო-ტურისტულ ლიტერატურას, რომელშიც ასახული იქნება საქართველოს წარსული და დღევანდელი ყოფა-ცხოვრება მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის შესაბამისად.

დროდადრო, ცხადია, თბილისში ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე გამოდის სხვადასხვა სახის გზამკვლევები, ბუკლეტები, ტურისტული სქემები და მარშრუტები სათანადო ახსნა-განმარტებებით, სამხარეთმცოდნეო ხასიათის ლიტერატურა საქართველოს შესახებ, მაგრამ საკმაოდ გაზრდილი მოთხოვნილების გამო ასეთი წიგნები ნაკლებადაა. ამიტომაც სასიამოვნოა, რომ საცნობარო-ტურისტული ლიტერატურის ბიბლიოთეკას ახალი წიგნი შეემატა. ეს არის გიორგი ხუციშვილის „გეპატიჟებით საქართველოში", მრავალმხრივი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ენციკლოპედიური ხასიათის გზამკვლევის ტიპის გამოცემა რუსულ ენაზე („საბჭოთა საქართველო", რედაქტორები ი. მესხი და ო. მელიქიშვილი, მხატვარი ი. ვასილკოვსკი. 192 გვ. ტირაჟი 40.000 ცალი).

რა მიზანს ისახავს წიგნი? როგორია მისი დანიშნულება? ამაზე ხატოვნად არის ნათქვამი წინათქმაში — „მკითხველისადმი", სადაც, კერძოდ, ვკითხულობთ: წიგნს, რომელიც ახლა თქვენ ხელში გიჭირავთ, სურს, რომ თქვენი მეგზური იყოს. იგი თქვენ ხელს ჩაგკიდებთ და შემოგატარებთ საქართველოს, გამოგზაურებთ ისტორიის სიღრმეებში. გაჩვენებთ ჩვენი მიწაწყლის სიმშვენიერეს, გაჩვენებთ იმას, თუ რა შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს და იმაზეც მოგითხრობთ, თუ რას ვაკეთებთ დღეს ჩვენ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები.

წიგნი რამდენიმე თავისა და განყოფილებისაგან შედგება. შესავალ ნაწილში („ქვეყანა და მოსახლეობა") მკითხველი გაეცნობა ჩვენი რესპუბლიკის გეოგრაფიულ გარემოს. მის რელიეფსა და კლიმატს, მდინარეებსა და ტბებს, სასარგებლო წიაღისეულსა და ნიადაგებს, ფლორასა და ცხოველთა სამყაროს, ადმინისტრაციულ შედგენილობას და დემოგრაფიულ მონაცემებს, ენასა და დამწერლობას, ეროვნულ ტანსაცმელსა და ქართულ სამზარეულოს. შემდეგ მოკლედ გადმოცემულია ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია ანტიკური საუკუნეებიდან ჩვენს დღეებამდე.

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაზე, მეცნიერებასა და კულტურაზე ლაპარაკია შემდეგ თავში. აქ გაეცნობით მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, განათლებასა და მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას (თეატრი, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, კინემატოგრაფია), პერიოდულ ბეჭდვით სიტყვასა და საგამომცემლო საქმეს, სახელოვან ქართველ სპორტსმენებს.

შემდეგი თავი ეთმობა რესპუბლიკის დედაქალაქს. აქ გადმოცემულია თბილისის ისტორია და დღევანდელი ყოფა, დახასიათებულია იგი როგორც უმნიშვნელოვანესი სამრეწველო, სამეცნიერო და კულტურული ცენტრი.

წიგნში ყველაზე ვრცელია ის განყოფილება, რომელსაც ეწოდება „მოგზაურობა ქვეყანაში". აქ დაწვრილებით არის განხილული რამდენიმე ყველაზე პოპულარული ტურისტული მარშრუტი. კითხულობთ და გონების თვალით შემოივლით საქართველოს თვალწარმტაც კუთხეებს, შავი ზღვის სანაპიროს, აფხაზეთსა და აჭარას, იმოგზაურებთ სამხედრო გზით ორჯონიკიძიდან თბილისამდე, მოინახულებთ ხევსურეთს, იწვევით მევენახეობისა და მეღვინეობის სახელგანთქმულ მხარეს — კახეთს, შემდეგ კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით გადასერავთ მთელ საქართველოს და თქვენში წარუშლელად აღიბეჭდება თბილისიდან ზუგდიდამდე მოგზაურობისა და ზემო სვანეთში „გატარებული დღეების" შთაბეჭდილებები, წიგნი, ცხადია, გულს არ დაგწყვეტთ და ბორჯომ-ბაკურიანის უმშვენიერეს მხარესაც შემოგატარებთ, სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ძეგლებსაც მოინახულებთ.

წიგნში დაბეჭდილია ასეთი ხასიათის გამოცემისათვის აუცილებელი ფერადი ფოტოსურათები და ტურისტული მარშრუტების მხატვრულად გაფორმებული სქემები. დასასრულ უნდა ითქვას, რომ წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს არა მარტო ტურისტებსა და სტუმრებს, არამედ ყველა ჩვენებურსაც, რომელსაც მოუსურვებია კიდევ ერთხელ იმოგზაუროს მშობლიურ საქართველოში.

ლ. კიკნაძე.

სპორტი

ვ. გოგლიძის მემორიალი

ვინ რაზე ოცნებობს

მემორიალის ყველა მონაწილეს, ცხადია, პირადი „პერსპექტიული გეგმა" აქვს — ზოგი მხოლოდ პირველ ადგილს უმიზნებს. ჩოკილტიას გროსმაისტერის ერთი ბალი აქვს. თუ თბილისში მეორესაც მოიპოვებს, დიდი ხნის ნანატრ ოცნებას შეისრულებს. იგივე მიზანი დაისახა სიგურიონსონმაც. ამიტომაც მათ შეხვედრა ფრთხილად დაიწყეს — სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე. კინი ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი ოსტატია. ამ ქვეყანას დღეს არა ჰყავს არც ერთი გროსმაისტერი. გამოცხადებულია ბანკირ სლეიტერის პრიზი (5000 გირვანქა სტერლინგი), რომელიც გადაეცემა პირველ ინგლისელს, ვინც გროსმაისტერობას დაიმსახურებს. ახლა ამ პრიზის ძირითადი პრეტენდენტები არიან კინი, ცნობილი საერთაშორისო ოსტატი ჰარტსტონი და მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის მაილსი. საქმე ის არის, ვინ დაასწრებს! კინმაც მემორიალი ფრთხილად დაიწყო — ყაიმზე შეუთანხმდა გიორგაძეს. ამავე პრინციპს — „ნელა იჩქარე" მიმართეს გუფელდმა და ნონა გაფრინდაშვილმა, ხოლმოვმა და ტუზოვსკიმ. მათი შეხვედრებიც სწრაფად დამთავრდა ყაიმით.

ორი პარტია უაღრესად უკომპრომისო აღმოჩნდა. ბულგარეთის 1972 წლის ჩემპიონი ბოხოსიანი მეტად ემოციური მოჭადრაკეა. დამახასიათებელია, რომ იგი ან საპრიზო ადგილზე გამოდის, ან დიდ მარცხს განიცდის. პირველ ტურში [illegible] უბილავას ხვდებოდა: თბილისელი ოსტატი მძაფრ ცაიტნოტში მოხვდა. ბოხოსიანმა აამოძრავა ძლიერი გამსვლელი პაიკი, რამაც გადაწყვიტა კიდეც პარტიის ბედი თეთრების სასარგებლოდ. ძალიან საინტერესო გამოდგა გურგენიძის შეხვედრა პოლონეთის უძლიერეს მოჭადრაკე შმიდთან. პარტია გადაიდო მწვავე ენდშპილში.

გუშინ საღამოს მეორე ტურში გაფრინდაშვილმა მოუგო ბოხოსიანს, შნაპიკმა — გურგენიძეს, ყაიმზე შეთანხმდნენ სიგურიონსონ-კინი, გიორგაძე-გუფელდი, ჩოკილტია-ტუზოვსკი და ბაგიროვ-ხოლმოვი.

გ. გამრეკელი.



შაში

მეოთხე საკავშირო

უკრაინის ქალაქ ლვოვში გრძელდება საბჭოთა კავშირის XX საიუბილეო ჩემპიონატი ასუჯრედიან შაშში. წარმატებით დაიწყო ტურნირი ფინალის დებიუტანტმა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა სპორტის ოსტატმა ბ. შავერდიანმა. იგი ექვსი შეხვედრის შემდეგ ოთხი ქულით ლიდერთა ჯგუფში შედის. ამდენივე ქულა აქვს მოსკოველ გროსმაისტერ ნ. აბაციევს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. შჩეგოლევმა, საერთაშორისო ოსტატმა ვ. აგაფონოვმა (ორივე — მოსკოვი) და ოსტატმა ლ. ხლობოჟკომ (ხარკოვი) ხუთ-ხუთი ქულა მოაგროვეს შვიდ-შვიდი შეხვედრიდან (მეშვიდე ტურში შავერდიანი თავისუფალი იყო).

გუშინ შედგა მე-8 ტური.

კალათბურთი

რვიდან — 7 ქულა

გუშინ თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში გაიმართა განმეორებითი მატჩი კალათბურთში სსრ კავშირის პირველობაზე თბილისის „დინამოსა" და კიევის „სტროიტელს" შორის. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 81:75 (33:42). ეს მათი მე-7 გამარჯვებაა.

გ. პაპუაშვილი.

ფეხბურთი

კვლავ გამარჯვება

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელიც ტურნეს ატარებს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, მეორე მატჩიც მოუგო ტაილანდის ნაკრებს ანგარიშით 7:0. მეტოქის კარში ხუთი ბურთი გაიტანა სლობოდიანმა, ორი — ჩესნოკოვმა.

ახალგაზრდული ნაკრები ტაილანდში კიდევ ორ მატჩს ჩაატარებს.

ხაზზეა დამატებითი მატარებლები

სსრ კავშირის კონსტიტუციის დღის დღესასწაულთან დაკავშირებით ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ დანიშნა დამატებითი სამგზავრო მატარებლები.

— ძირითადი შემადგენლობების გარდა, — თქვა მაგისტრალის სამგზავრო სამსახურის უფროსმა ინჟინერმა გ. მასტიაშვილმა, — 3 დეკემბრიდან დანიშნულია დამატებითი მატარებლები. მაგალითად, 3, 4 და 6 დეკემბერს 19 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით თბილისის სამგზავრო სადგურიდან გავა მატარებელი № 210 თბილისი-ბათუმი. 7 დეკემბერს 13 საათზე გავა დამატებითი მატარებელი თბილისი-ქუთაისი, ხოლო 4 და 8 დეკემბერს 18 საათსა და 46 წუთზე გავა მატარებელი № 234 თბილისი-სოხუმი.

დანიშნულია აგრეთვე დამატებითი მატარებლები ბათუმი-თბილისი, სოხუმი-თბილისი, ქუთაისი-თბილისი, სამტრედია-თბილისი და სხვები. ტყიბულში, ზესტაფონში, ჭიათურასა და საჩხერეში მიმავალი მგზავრებისათვის ყოველ მატარებელში გამოყოფილია დამატებითი ადგილები.

დღესასწაულის დღეებში დანიშნულია აგრეთვე ახალი ტურისტული მატარებლები. ექსკურსანტები იმოგზაურებენ მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს, ვოლგოგრადსა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო და კულტურულ ცენტრებს, მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის კონსტიტუციის დღის აღნიშვნაში.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი და საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მთამსვლელი, სსრკ სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი

ალექსანდრა ბიჭიას ასული ჯაფარიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სტასეევის პროთეზები

ეს სიახლე ამჟამად საუკეთესოა

თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ითვლის ნაბიჯებს ინვალიდი. როგორ უნდა სკამზე ჩამოჯდეს, პროთეზი მოიმარჯოს, სული მოითქვას, — ამას ამბობს ოლეგ სტასეევი, მოსკოვის საპროთეზო-ორთოპედიული საწარმოს ინჟინერ-კონსტრუქტორი. მან გააკეთა ფეხის ახალი პროთეზი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ამჟამად საუკეთესოა.

სტასეევმა მიაგნო მეთოდიკას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დაამზადოს წვივის პროთეზი ქრილობის ყველა თავისებურების გათვალისწინებით. და თუ ჩვეულებრივად უაღრესად რთულ საქმედ ითვლება პროთეზის „მორგება!", ახლა ეს ეტაპი დაპროექტების პროცესში წყდება.

— ასეთი ამოცანის გადაწყვეტას, გვიამბობს სტასეევი, — ჩვენამდეც ცდილობდნენ. ჩვენ გამოვიყენეთ სპეციალური დანადგარი. მასზე განვსაზღვრავთ მომავალი პროთეზის პარამეტრებს. მეთოდის ღირებულება იმაშია, რომ პროთეზი ჯერ არ არის, ჩვენ კი უკვე ვიცით, როგორი უნდა იყოს იგი. ეს უკვე რეცეპტია, მართალია თვითეულ შემთხვევაში ახალი და განუმეორებელი.

მიმღები ჭილზი, პროთეზის ის ნაწილი, სადაც „ფეხი" ჩაიდგმება, სრულდება ელასტიკური პოლიმერული მასალებისაგან. მას არა აქვს არც ერთი მოქლონი, რაც პროთეზმშენებლობის პრაქტიკას წინათ არ სცოდნია. პროთეზის წონაც — ორი კილოგრამის ფარგლებში — დიდი ტექნიკური მიღწევაა.

ახალი პროთეზის მთავარი თავისებურება ის არის, რომ მისი მართვა შეიძლება. იგი შეიძლება შეუცდომლად დაარტყათ, ვთქვათ, ასანთის კოლოფს. აი რას ამბობენ ისინი, ვისთვისაც იგი განკუთვნილია.

ს. პამპუშკო: — პროთეზი მსუბუქია, ელასტიკური, ადვილად სამართავი და მდგრადი. არ უჭერს, კანს არ ყვლეფს, სიარულის დროს განზე არ იხრება...

ნ. იაცენკო: — სამჯერ გამიკეთეს პროთეზი ძველი სქემით, მაგრამ იმით სიარული მიჭირდა. ახლა ვატარებ სტასეევის მიერ შემოთავაზებულ მოხერხებულ, ადვილად სამართავ პროთეზს. ვატარებ, და განვიცდი გულითად მადლიერებას ადამიანისადმი, რომელმაც სიხარული მომანიჭა, განვაგრძობ მეცნიერულ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობას...

ვ. მურიგინა: — პროთეზები ფეხები ხდება მხოლოდ მაშინ, როცა გრძნობ, რომ სიმსუბუქე დაგიბრუნდა, როცა გრძნობ, რომ ისინი ფეხებია, შენი ფეხები....

ქ. პიანკოვი: — პროთეზმა საშუალება მომცა ზედიზედ რამდენიმე საათს ვიარო, ტანვარჯიშს ვეწეოდე და თხილამურებით დავსრიალებდე, ისე, რომ ტკივილს არ ვგრძნობდე...

კონსტრუქტორს ვთხოვე კომენტარი გაეკეთებინა ამ სიტყვებისათვის.

— საკითხი იმაში კი არ არის, — ამბობს იგი, — თუ რამდენ ხანს შეუძლია კაცს იაროს პროთეზით, არამედ იმაში, თუ რამდენ ხანს შეუძლია არ მოიხსნას იგი. მე ვიცი შემთხვევები, როცა ინვალიდები, ტურისტულ ლაშქრობაში რომ მიდიან, ღამისთევისას პროთეზებს არ იხსნიან. ჩვეულებრივად კი ცდილობენ რაც შეიძლება მალე მოიხსნან ისინი. რაც შეეხება სიარულს, შეიძლება სიარული იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა. თხილამურებით სიარულის გარანტირება კი ყველასათვის არ შეიძლება. არ ვიცი, იქნებ ის კაცი, რომელზეც ლაპარაკია, თვითონ არის კარგი სპორტსმენი.

— სტასეევის პროთეზის საშუალებით, — განაგრძობს კ. პიანკოვი, — ისე დავდივარ, რომ ადამიანები, რომლებმაც ჩემი მდგომარეობა არ იციან, ვერც კი ხვდებიან, რომ მე ინვალიდი ვარ...

სტასეევთან ლაბორატორიაში რომ შევედი, იგი დანადგარის წინ წამოჩოქებული, მორიგ პაციენტს სინჯავდა. მუშაობა რომ დაამთავრა, სტასეევი ადგა, ოთახში გაიარა და დაბალ როგორც სატანვარჯიშო დარბაზში მერხზე ჩამოჯდა. და უცებ მომეჩვენა...

— ოლეგ გაბრიელის-ძევ, რატომ კოჭლობთ?

— ფეხი არა მაქვს... პროთეზი მიკეთია.

დ. სახაროვი,
ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი.



მოქალაქენო!

1974 წლის 1 დეკემბრიდან რესპუბლიკაში ეწყობა სახანძრო უშიშროების ღონისძიებათა გაძლიერების ერთთვიური.

მიიღეთ აქტიური მონაწილეობა სახანძრო უშიშროების ერთთვიურში!

საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების საყურადღებოდ!

უზრუნველყავით ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულება და სახანძრო უშიშროების წესების ზუსტად დაცვა სახალხო მეურნეობის ობიექტებზე და საცხოვრებელ სახლებში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება.

ტელევიზია

30 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. „ბურატინოს გამოფენა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.15 — მხატვრული ფილმი „ვოლგა-ვოლგა", 13.55 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის", 14.25 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 15.10 — კინონარკვევი, 15.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ცოდნა", 16.05 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა". 16.50 — „მსოფლიო დღეს", 17.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.00 — სამხედრო პარადი და მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია, მიძღვნილი ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი. რეპორტაჟი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „მებრძოლი პოეტი" — ანდრია სინაური, 19.30 — სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ოქროპირი", 20.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — მხატვრული ფილმი „სამეფო ნადირობა". (საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი ნაწარმოები), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თეატრალური საღამო". დასასრულ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები, 19.10 — „თბილისი და თბილისელები", 19.40 — ესტრადის კონცერტი, 20.20 — კინონარკვევი, 20.35 — მხატვრული ფილმი „აქ ჩვენი სახლია" (მეორე სერია).

რადიო

1 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის" საკვირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოაფიშა", 12.00 — „ქვეყნებში და კონტინენტებზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — ქართული სიმღერები და რომანსები, 13.00 „მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-საუბარი „დ. კაბალევსკის ოპერა „ტარასის ოჯახი", 14.00 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი", 14.30 — ფ. ლისტი. სიმფონიური პოემა „პრელუდიები", 14.45 — სულხან-საბა ორბელიანი — „სიბრძნე სიცრუისა". მხატვრული კითხვა. 15.00 — „მეგობრობის კონცერტი". მოძმე საბჭოთა სომხეთისა და აზერბაიჯანის რადიომსმენელთათვის. 15.30 — „დიდები და პატარები". საუბარი „ბავშვის კაპრიზების შესახებ", 15.45 — მ. გლინკა. კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები", 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ორი ობოლი", 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო", 19.30 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.20 — „ხუთწლედის მოწინავენი", 20.30 — რ. გამზათოვის საავტორო კონცერტი. ტრანსლაცია კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზიდან. ანტრაქტში — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

30 ნოემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ყვარყვარე; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ტაკიმასხარა; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ქორწილი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-62, 99-02-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოს — 99-66-30, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-62-48, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-96, უცხოეთის — 99-60-22, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 — 02874 — საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14